545
1971




# საქართველოს ქალი

მაისი
№ 5 1971 წ.

ეროვნული ბიბლიოთეკა



სკკპ XXIV ყრილობის დარბაზში

# სკკპ XXIV ყრილობა

ამხანაგები: ვ. პ. მჟავანაძე, გ. დ. ჯავახიშვილი, ა. ნ. ინაური სკკპ XXIV ყრილობის საქართველოს დელეგატთა შორის



„საქართველოს ქალი“
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ყოველთვიური საზოგადოებრივ-პოლიტიკური და მხატვრულ-ლიტერატურული ჟურნალი.

«САКАРТВЕЛОС КАЛИ»
Ежемесячный общественно-политический и художественно-литературный журнал ЦК КП Грузии.



ამხანაგები: ლ. ი. ბრეჟნევი, ნ. ვ. პოდგორნი, ა. ნ. კოსიგინი, მ. ა. სუსლოვი, ა. ი. პელშე, ვ. პ. მჟავანაძე სკკპ XXIV ყრილობაზე საქართველოსა, აზერბაიჯანისა და სომხეთის დელეგატთა შორის.

ფოტო ვლ. გინზბურგისა და გ. ვახტანგაძისა

11602

„პარტიის პოლიტიკის მიზანი ის არის, რომ საბჭოთა ქალს მიეცეს ახალი შესაძლებლობანი, რათა აღზარდოს ბავშვები, უფრო მეტი მონაწილეობა მიიღოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, დაისვენოს და ისწავლოს, უფრო ფართოდ ეზიაროს კულტურის სიკეთეებს. ყოველივე ეს დიდმნიშვნელოვანი ამოცანებია, და ახალი ხუთწლედი, უდავოდ, შესამჩნევი ეტაპი იქნება მათი გადაჭრის საქმეში“.

ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის საანგარიშო მოხსენებიდან საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობაზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მეგობრები გვილოცავენ

## მოსკოვიდან

ჟურნალ „საქართველოს ქალის“ რედაქტორს
ამხ. მ. გ. ბარათაშვილს,
ძვირფასო ამხანაგებო!

გულითადად გილოცავთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50-ე წლისთავს და გისურვებთ შემდგომ წარმატებებს შრომასა და საზოგადოებრივ საქმიანობაში, ჯანმრთელობასა და დიდ პირად ბედნიერებას.

ამ ღირსშესანიშნავ თარიღს თქვენი რესპუბლიკა თავისი ძალებისა და შესაძლებლობების მძლავრი გაფურჩქვნის ვითარებაში შეეგება. ჩვენ ვამაყობთ იმით, რომ საქართველოს ქალებს ღირსეული წვლილი შეაქვთ ეროვნული ეკონომიკის, მეცნიერების, კულტურის განვითარებაში, თავისი ხალხის დიდ მიღწევებში. ის საპატიო ადგილი, რაც დღეს უჭირავს ქალს საქართველოს ეკონომიურ, საზოგადოებრივ-პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა სახელმწიფოს ეროვნული პოლიტიკის, ქალთა სოციალური განთავისუფლების შესახებ ვ. ი. ლენინის მოძღვრების ჭეშმარიტი ზეიმის დადასტურებაა.

თქვენთან ერთად აღვნიშნავთ რა ამ სახელოვან იუბილეს, გისურვებთ ახალ-ახალ გამარჯვებებს კომუნიზმის მშენებლობის საქმეში!

ვალენტინა ნიკოლაევა-ტერეშკოვა.
საბჭოთა ქალების კომიტეტის თავმჯდომარე.

## კიევიდან

საყვარელო ქართველო დებო!

ცისფერი დნეპრის ნაპირებიდან, ლესია უკრაინკას აყვავებული სამშობლოდან გულითადად მოგესალმებით და მხურვალედ მოგილოცავთ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50-ე წლისთავის დღესასწაულს.

ჩვენ ვამაყობთ თქვენი შრომითი და შემოქმედებითი მიღწევებით; მშვენიერო ქართველო ქალებო, თქვენი სულიერი სილამაზით მოხიბლული თქვენი უკრაინელი დები გისურვებენ, უკლებლივ ყველას, ახალ-ახალ წარმატებებს აღმშენებლობით შრომაში, ჯანმრთელობასა და დიდ პირად ბედნიერებას!

ნინელ პრიხოდკო,
ჟურნალ „რადიანსკა ჟინკას“ მთავარი რედაქტორი.

## მოსკოვიდან

ძვირფასო მეგობრებო!

მოგილოცავთ დიდ დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50-ე წლისთავს! თქვენთან ერთად გვახარებს თქვენი ბარაქიანი მიწის აყვავება, შესანიშნავი მეცნიერული და შრომითი მიღწევები, რამაც ხორცი შეასხა ხალხის საუკუნოვან იმედებს.

საქართველოს რესპუბლიკის ახლანდელი მიღწევები ეს არის ზეიმი საბჭოთა საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობისა, ლენინის ეროვნული პოლიტიკისა, ეს არის შედეგი იმ დიდი მუშაობისა, რასაც ეწევა საქართველოს კომუნისტური პარტია მუშებისა და კოლმეურნეების, რესპუბლიკის ინტელიგენციის მობილიზაციისათვის სამეურნეო და კულტურული მშენებლობის ამოცანათა განსახორციელებლად.

გისურვებთ, საყვარელო მეგობრებო, შემდგომ დიდ წარმატებებს მოღვაწეობის ყველა სფეროში, გისურვებთ დიდ პირად ბედნიერებას!

თქვენი „რაბოტნიცა“

50

## ერევნიდან

ძვირფასო მეგობრებო!

ახლა ჩვენი ჯერი დადგა მოგილოცოთ ქართველ დებს საქართველოს მიწა-წყალზე საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცდამეათე წლისთავის დღესასწაული.

ერთი წლის განმავლობაში ზედიზედ სამმა ამიერკავკასიელმა ძმობილმა — აზერბაიჯანმა, სომხეთმა და საქართველომ დაამყარა მუშურ-გლეხური ხელისუფლება და სათავე დაუდო ახალ ცხოვრებას, თავის ეროვნულ აღორძინებას.

მდიდარი და ბარაქიანი საქართველოს მიწა საუკუნეების განმავლობაში მხოლოდ მდიდრებისათვის — მემამულეებისა და ბურჟუაზიისათვის იყო სამოთხე. მძიმე იყო ქედმოხრილი და დაბეჩავებული მშრომელი ხალხის ცხოვრება. ჰოდა, აი, დადგა ახალი ერა — ერა სოციალური სამართლიანობისა, რომელიც დიდი ლენინის პარტიამ გამოაცხადა. მუშები და გლეხები კომუნისტურ პარტიას გაჰყვნენ და თავის მიწას, თავის დოვლათს დაეპატრონენ.

თავი ასწია, მხრებში გაიმართა ქალაქელი თუ სოფლელი, ათასჭირგამოვლილი მშრომელი ქართველი ქალი და დაადგა თავისუფლების, თანასწორუფლებიანობისა და წინსვლის გზას. ჩვენს ცხოვრებაში მომხდარი არნახული ცვლილებები, უპირველეს ყოვლისა, ქალის ბედ-იღბალს დაეტყო. სადღაა ის დაჩაგრული, უუფლებო, მკაცრი ადათწესებით დაბეჩავებული ქალი!

დღეს სომხეთის ქალები სიხარულით ულოცავენ თავიანთ ქართველ დებს საერთო-სახალხო დღესასწაულს — საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების ორმოცდამეათე წლისთავს და სულითა და გულით უსურვებენ ახალ წარმატებებს, ახალ ბედნიერებას მათ, მათ შვილებსა და მთელ მათ რესპუბლიკას.

სომხეთის ყველა ქალის სახელით ქალთა ჟურნალი „აიასტანი აშხატავორუის“ რედაქცია.

# გილოცავთ!

**უმღერიან სამშობლოს**


შოთა ჭანუყვაძე,
საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი.


საქართველოს სახალხო ზეიმისა და ბედნიერების დღეებში მოგესალმებით, ჩვენო სახელოვანო ქალებო, მხურვალედ გილოცავთ ამ დიად ეროვნულ დღესასწაულს და გისურვებთ ჯანმრთელობას, შრომითს წარმატებებს, სიხარულსა და ბედნიერებას.

ქართველი ქალი ოდითგანვე იყო ერის დიდება, მისი სილამაზე და სიამაყე. ვინ არ იცის მისი დიდი ღვაწლი ქვეყნის პოლიტიკურსა და კულტურულ ცხოვრებაში. ჟამთა სვლას ვერ წაუშლია სამშობლოსათვის თავდადებულ, ეროვნული დამოუკიდებლობისა და ქვეყნის სიმტკიცისათვის მებრძოლ ქალთა სახელები, რომლებმაც მათივე შთაგონებით შექმნილი მაღალმხატვრული ნაწარმოებები უკვდავ ძეგლებად დაუტოვეს მემკვიდრეობას.

ქართველი ქალების, ისევე, როგორც ჩვენი ქვეყნის ყოველი კუთხის ქალების, ნიჭსა და უნარს ვანსაკუთრებით საბჭოთა ხელისუფლებამ გადაუშალა ფართო ასპარეზი; მხოლოდ სოციალისტურმა წყობამ იხსნა ქალი კაპიტალისტური მონობისაგან, ყველა, როგორც ერთი, გახადა საზოგადოების თანასწორუფლებიანი წევრი, გზა გაუხსნა მეცნიერებისა და კულტურის მწვერვალებისაკენ. დღეს ჩვენი რესპუბლიკის ცხოვრებაში ქალებს საპატიო ადგილი უკავიათ. არ არსებობს სახალხო მეურნეობის, მეცნიერებისა და კულტურის არც ერთი დარგი, რომ ქართველ ქალს სიტყვა არ ეთქვას, თავისი მაღალნიჭიერებით და შრომითი სიბეჯითით, თავისი გმირობით და ოსტატობით არ გაეთქვას სახელი.

ქართველი ქალი თავდადებულად იბრძოდა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისათვის, სოციალიზმის გამარჯვებისათვის.

ქართველმა ქალმა შრომასა და ბრძოლაში უმაგალითო მამაცობით დაიცვა სოციალისტური სამშობლო საბჭოთა ხალხის დიდ სამამულო ომში.

დიდება ქართველ ქალებს, რომლებმაც სიცოცხლე თავისუფლებისა და სოციალიზმის საქმეს შესწირეს!

დღეს, მშვიდობიანი მშენებლობის დროს, ქართველ ქალს საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და კულტურის განვითარებაში დიდი წვლილი შეაქვს, თავდადებულად იბრძვის სოციალისტური სამშობლოს შემდგომი აყვავებისათვის.

ჩვენ ვამაყობთ ორგზის სოციალისტური შრომის გმირის თამარ ყუფუნიას სასახელო საქმეებით. გმირი ქალი დედობრივი სიყვარულითა და სითბოთი უზრდის სამშობლოს მეჩაიეთა ახალ თაობას.

ვის არ სმენია დ. ტაკიძის, ქ. სარსანიას, ე. ნატროშვილის, ა. ჯიჯავაძის, ტ. ჩხაიძის, ო. აივაზაშვილის, ა. გურგენიძის, ქ. კევლიშვილის, ც. ქარდავას, ნ. ჩერქეზიშვილის, ა. გამყრელიძის, ე. სოლომონიასა და სხვათა სახელები; ვინ არ იცნობს ვ. ანჯაფარიძეს, მ. ლორთქიფანიძეს, ა. კალანდაძეს, ქ. ბახტაძეს, ნ. გაფრინდაშვილს, ე. ვირსალაძეს, ე. ახვლედიანსა და სხვებს, რომლებმაც საბჭოთა საქართველოს შორს გაუთქვეს სახელი.

დაე, იმრავლოს სახელოვან ქართველ ქალთა რიგებმა სოციალისტური სამშობლოს საკეთილდღეოდ!

ქართველი ქალი დღეს დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით ღვას თავისი დედობრივი მოვალეობის სადარაჯოზე: კომუნიზმის საქმისადმი ერთგულების, ინტერნაციონალიზმის, პატრიოტიზმის სულისკვეთებით უზრდის შვილებს ქვეყანას. დიდი ყურადღებითა და მზრუნველობით გარემოსილი ბევრი ქართველი დედა „გმირი დედის" საპატიო წოდებას ატარებს, ხოლო გეგეჭკორის რაიონის სოფელ ნახარებაოს კოლმეურნეობის წევრი მარგო ჩიქვანაია ორი ოქროს ვარსკვლავის კავალერია: შრომით საქმიანობაში მოპოვებული დიდი წარმატებებისათვის მას სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება მიენიჭა. ამავე დროს იგი გმირი დედაცაა — სამშობლოს 11 შვილს უზრდის.

დიდება გმირ დედებს, რომლებიც ქვეყანას უზრდიან ღირსეულ შვილებს!

გვჯერა, რომ საბჭოთა საქართველოს მუშა და კოლმეურნე ქალები, მასწავლებლები და ექიმები, ინჟინრები და ტექნიკოსები, მეცნიერები და მწერლები, კულტურის, საყოფაცხოვრებო მომსახურების, ვაჭრობისა და საზოგადოებრივი კვების მუშაკები, ყველა ქალი, შეიარაღებულნი საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებებით, კვლავაც გაამრავლებენ შრომითს წარმატებებს, გააღრმავებენ სახელოვან ტრადიციებს და ღირსეულ წვლილს შეიტანენ კაცობრიობის ნათელი მომავლის — კომუნიზმის აშენებაში.

## გალაკტიონი

დიდება ხალხისთვის წამებულ რაინდებს,
ვინც თავი გასწირა, ვინც სისხლი დაღვარა.
მათ ხსოვნას ქვეყანა სანთლებად აინთებს...
დროშები ჩქარა!

## გიორგი ლეონიძე

გულის ნათელი მე მიპოვია,
ქართლის დიდების მე ვარ მნახველი;
სამშობლო — ჩემი გულის ფეთქვაა,
სამშობლო — ჩემი ლექსის სახელი!

## იოსებ გრიშაშვილი

ეს მთა ჩემია, ეს ხე ჩემია,
მეც ვიმეორებ ყოველ განთიადს,
და თუ რამ კარგი გადამრჩენია,
ისიც სამშობლოს დროშად ანთია!

## სიმონ ჩიქოვანი

ვინა სთქვა თითქოს პატარა იყოს
ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი,
ქართლში ვინ ჰპოვა პატარა ციხე,
ვინ მოიგონა სიმცირე მისი.

## ლადო ასათიანი

დაუკარით, რომ ძველ ხანჯალს ელდა ეცეს,
გაისარჯოს და ბრძოლებში დაიხარჯოს,
გაუმარჯოს საქართველოს მზეს და ზეცას,
საქართველოს ძლიერებას გაუმარჯოს!

# ქალი საჭესთან

**ვიქტორია სირაძე,**
**საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე.**

საქართველო ზეიმობს თავის მეორედ დაბადებას. ორმოცდაათი წლის წინ გახდა იგი თავისუფალი, წელში გაიმართა, გალაღდა და ათასფრად აყვავდა. ხალხის მარჯვენით შექმნილმა ახალმა ყოფამ ბედნიერება და სიხარული მოუტანა. ამ მონაპოვრისათვის ბრძოლაში ქართველმა ქალმაც დაამტკიცა თავისი ურყევი ნება — მოწინავე კაცობრიობასთან ერთად ბოლომდე იბრძოლოს ადამიანთა თავისუფლების, ბედნიერების, დემოკრატიისა და სოციალიზმისათვის, რადგან თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა განუხრელად დაკავშირებულია ქალთა თანასწორობისა და ჩაგვრისაგან განთავისუფლების საკითხთან.

დიდმა ოქტომბერმა გაანთავისუფლა ქალი მონობისა და ჩაგვრის ბორკილებისაგან, კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის შეუნელებელმა ზრუნვამ გამოიყვანა იგი დამოუკიდებელი და სამართლიანი ცხოვრების გზაზე. ახლა არ არსებობს სახელმწიფოებრივ-სამეურნეო, კულტურული და პოლიტიკური ცხოვრების არც ერთი უბანი, ქალი რომ აქტიურად არ მონაწილეობდეს. მამების, ძმების, ვაჟიშვილების, ქმრების მხარდამხარ მტკიცედ მიაბიჯებს იგი ახალი საზოგადოების მშენებელთა პირველ რიგებში.

საბჭოთა კავშირის ყველა ქალთან ერთად საბჭოთა წყობილების პირობებში გამოჩნდა და გაიფურჩქნა საქართველოს ქალების შესანიშნავი ნიჭი, შრომისა და ორგანიზატორული საქმიანობის უნარი. ამის ნათელსაყოფად საკმარისია აღინიშნოს, რომ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მომუშავეთა 42 პროცენტს ქალები შეადგენენ, აქედან მრეწველობაში დასაქმებულია 40 პროცენტზე მეტი. სამშობლოს საკეთილდღეო შრომისათვის საქართველოში 384 ქალს მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო სახელი. სახალხო მეურნეობის? ყველა დარგის სპეციალისტთა ნახევარზე მეტს ქალები შეადგენენ.

მრეწველობის ყველა დარგში ქალები წარმატებით ართმევენ თავს წარმოების დირექტორის, მთავარი ინჟინრის, საამქროს, ცვლის, უბნის უფროსის რთულ და პასუხსაგებ საქმეს. ელენე ქეიშვილის სანაქებო საქმიანობამ, გაძღოლის შესანიშნავმა უნარმა ოჩხამურის ჩაის ფაბრიკა რესპუბლიკის მოწინავე საწარმოთა რიგებში ჩააყენა.

ქებისა და მიბაძვის ღირსია „კოტონური" წინდების ფაბრიკის დირექტორის შუშანა გოგისვანიძის, თბილისის საკონდიტრო კომბინატის დირექტორის ვიქტორია ებრალიძის, ონის სამკერვალო ფაბრიკის დირექტორის ხათუნა გობეჯიშვილის, თბილისის № 6 სამკერვალო ფაბრიკის დირექტორის მარიამ ავალიანის და სხვათა საქმიანობა.

ბევრნი არიან რესპუბლიკაში სამრეწველო წარმოების მოწინავე ქალები, რაციონალიზატორები, გამომგონებლები.

განუზომლად დიდია ქალების როლი სოფლის მეურნეობაში. საკოლმეურნეო წყობილებამ ქალთა ცხოვრების ძირეული გარდაქმნა მოახდინა. ამჟამად სოფლის მეურნეობის მუშაკთა საკმაოდ დიდ ნაწილს ქალები შეადგენენ, ქალები მუშაობენ მეგოლურებად, ბრიგადირებად, მექანიზატორებად, ზოოტექნიკოსებად, აგრონომებად, სათავეში უდგანან კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

დიდი წვლილი შეიტანეს ქალებმა რესპუბლიკის კულტურის, განათლებისა და მეცნიერების ყველა დარგის წარმატებით განვითარების საქმეში. საკმარისია ითქვას, რომ ამჟამად რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში ჩაბმულ 150 ათას ქალს უმაღლესი და საშუალო განათლება აქვს.

სახალხო განათლების სისტემაში მომუშავე მასწავლებელთა 70 პროცენტზე მეტს ქალები შეადგენენ. მათ შორის ბევრია რაისაბჭოს აღმასკომის განათლების განყოფილებათა გამგეები, სკოლის დირექტორები. ასევე ჯანმრთელობის დაცვის სისტემაში მომუშავე ექიმთა რაოდენობის 70 პროცენტი ქალია.

საბჭოთა მეცნიერ ქალთა რიგებს ღირსეულად ამშვენებენ საქართველოს ქალებიც, რომელთა რიცხვი 7.733-ს აღემატება. მათ შორის 89 მედიცინის მეცნიერებათა დოქტორია, 1.593 — მეცნიერებათა კანდიდატი; აკადემიკოსის, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორის წოდება მინიჭებული აქვს 64 ქალს, დოცენტისა — 339 და ა. შ. თავიანთი საკვლევო-სამეცნიერო მოღვაწეობით ქართველმა ქალებმა მსოფლიო აღიარება მოიპოვეს. ისინი გაბედულად ირკვევენ და სწყვეტენ ახალ აქტუალურ პრობლემებს და ამით თავიანთი მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ საბჭოთა მეცნიერების საგანძურში.

ჩვენმა ქალებმა შორს გაუთქვეს სახელი ქართულ ლიტერატურას, ხელოვნებას, კულტურას.

საყოველთაო სიყვარულით სარგებლობენ ქართველი მწერლები და პოეტი ქალები, მხატვრები და მუსიკოსები.

მრავალმხრივია საბჭოთა ქალების საზოგადოებრივი საქმიანობაც. მსოფლიოს არც ერთ ქვეყანაში ქალი არ სარგებლობს ისეთი ფართო და შეუზღუდავი პოლიტიკური უფლებებით, როგორც ჩვენში. ჩვენი რესპუბლიკიდან 17 ქალი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატია, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს 400 დეპუტატიდან 125 ქალია, რესპუბლიკის ადგილობრივი საბჭოების 48.750 დეპუტატიდან 22.091, ანუ 45,3 პროცენტი, აგრეთვე ქალია.

ბევრია არჩეული კომუნისტური პარტიის საქალაქო, რაიონული კომიტეტების მდივნებად, მშრომელთა დეპუტატების რაიონული და საქალაქო საბჭოების აღმასკომების თავმჯდომარეებად, მათ მოადგილეებად.

ქალებს უჭირავთ რესპუბლიკაში ხელმძღვანელი თანამდებობები და წარმატებით უძღვებიან კიდეც მათზე დაკისრებულ დიდ და საპატიო მოვალეობას.

სადაც არ უნდა იყოს საბჭოთა ქალი, ქართველი ქალი, რა პასუხსაგები პოსტი არ უნდა ეჭიროს, იგი ყოველთვის პირნათლად ასრულებს სამშობლოს წინაშე თავის მაღალ და კეთილშობილურ მოვალეობას — მოზარდი თაობის აღმზრდელის მოვალეობას.

დიახაც, მაღალია ქალის — დედის მოწოდება. მშობლიური გრძნობა ამაღლებს ქალს, ეხმარება მას უკეთ და უფრო ღრმად შეიცნოს თავისი საზოგადოებრივი მდგომარეობა, უკეთ და უფრო სრულად გამოაჩინოს თავისი ნიჭი და შესაძლებლობა. საბჭოთა ხალხი უსაზღვროდ მადლობელია დედის, რომელიც შობს სიცოცხლეს. პარტია და მთავრობა განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ ქალს — დედას, შეუნელებლად ზრუნავენ მისი საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. დღეს საქართველოში 2.145 მრავალშვილიან დედას მინიჭებული აქვს „გმირი დედის" საპატიო წოდება, 195.753 ქალი კი „სახელოვანი დედის" ორდენებითა და „დედობის" მედლებით არის დაჯილდოებული. ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილია ბაგების, საბავშვო ბაღების, კონსულტაციების, პიონერთა ბანაკებისა და ბავშვთა სანატორიუმების ფართო ქსელი, რომელიც საშუალებას აძლევს დედებს აქტიური მონაწილეობა მიიღონ კომუნისტური მშენებლობის საქმეში, აღუზარდონ სამშობლოს ღირსეული ცვლა.

და ქართველი ქალებიც ღირსეულად პასუხობენ პარტიისა და მთავრობის ამ უდიდეს ზრუნვას: გულმოდგინებითა და სიყვარულით უზრდიან მამულს მომავალ თაობას, უნერგავენ შვილებს კეთილშობილურ იდეებს, პატრიოტულ გრძნობებს. კვლავინდებურად ომახიანად, მტკიცედ და ამაყად ჟღერს ქართველი დედის სახელით, დიდი ხნის წინათ თქმული ილიას შესანიშნავი სიტყვები:

„ვინც მამულისთვის არ იმეტებს თავისსა
შვილსა,
მას შვილი თვისი, ჩემო კარგო, არ
უყვარებია."

დღეს ქართველ ქალს, მთელ ხალხთან ერთად ქვეყნის საკეთილდღეო შრომაში აქტიურად ჩაბმულს, თავისი წვლილი შეაქვს კომუნიზმის მშენებლობის მორიგი, მე-9 ხუთწლედის პირველი წლის დავალებათა წარმატებით შესრულებაში.

შარავანდედის უკვდავი ნათელი მოსავს ქალის სახეს. დიდება და სახელი მის კეთილშობილურ, სამშობლოს სიყვარულით ანთებულ სანაქებო საქმეებს!

ეროვნული ბიბლიოთეკა

თამარ ჩხაიძე

# სინჯი

სამზარეო კომიტეტის ტელეფონი შეუწყვეტლივ წკრიალებდა.

— ამხანაგ სერგო ორჯონიკიძესთან დამაკავშირეთ!

— დაკავშირებული ბრძანდებით!

— ამხანაგო სერგო, თქვენ ხართ?

— გახლავართ!

— როგორ ბრძანდებით, ზაჰესში გუშინდელი შაბათობის მერე?

— ცოტა მზემ შემხრუკა!

— ხელები? ხელები არ გადაგიყვლიფათ ბარმა?

— შეჩვეული არა ვარ, თუ? — ბარი რას დამაკლებს!

— მეგონა, თავს მიწის სამუშაოშიც სინჯავდით!

— როგორ, ცუდად ვიმუშავე?

— არა, როგორ გეკადრებათ!

— ეს შენ სინჯავდი თავს მიწის მუშაობაში, განა არ ვნახე როგორ ჩიჩქნიდი? დაგავიწყდა ბატონის მიწას ჯანს რომ ალევდი, მჭადი კი გენატრებოდა? იმიტომ ვიბრძოლეთ, რომ ჩვენ თვითონ გავბატონდეთ?

სერგომ ყურმილი ჩანგალზე დააგდო, წამოდგა და ოთახში გაიარ-გამოიარა. მზისგან დამწვარი სახე უფრო აენთო.

„გუშინდელმა მუშამ მუშაობაში თავი უნდა სინჯოს! ბიუროზე, ბიუროზე გავიტან ამ საკითხს“. — სერგო ვიღაცას თითით დაემუქრა. შემდეგ ისევ თავისთვის ჩაილაპარაკა: სინჯვა! სინჯვა! — უცებ თითქოს რაღაც მოაგონდაო, საკიდიდან გრძელი, ჯარისკაცული ფარაჯა ჩამოიღო, ჩაიცვა, ღილები შეიბნია, თავზე ძაბრული ქუდი დაიხურა და კაბინეტიდან გავიდა.

1924 წლის თბილისური თბილი შემოდგომა იდგა. შრიალ-შრიალით ეთხოვებოდნენ ფოთლები ხეებს და რტიშჩევის მყუდრო ქუჩას ახმიანებდნენ. სერგო მსუბუქად მიაბიჯებდა, მძიმე ჩექმები თითქმის არ ხმაურობდნენ.

კუთხეში, ერმოლოვის ქუჩაზე აუხვია. ულვაშებში ეშმაკურად იღიმებოდა. თვალებში ღიმილის მზე ჩასდგომოდა.

„სინჯი“, გაიმეორა ჩუმად და ფუნიკულორს ახედა. მთაწმინდიდან მამადავითმა შეანათა და ზარებმა მელოდიურად გაიხმიანეს.

„ათეისტი გახლავართ!“ — გაეპასუხა სერგო ზარის ხმას ისევ ჩუმად და სახე ღიმილმა უფრო გაუბადრა. ფუნიკულორის ლიანდაგებმა ხმლებივით გაილაპლაპეს.

სერგო აგურის წითელ შენობასთან შეჩერდა. „ამიერკავკასიის კომუნისტური უნივერსიტეტი“ ეწერა იმ შენობის კარის აბრაზე. ყური მიუგდო. დერეფანში ხმაური იდგა.

„შესვენება აქვთ კურსანტებს“ — გაიფიქრა და შეღმართს ნელი ნაბიჯით აუყვა.

ფუნიკულორის ლიანდაგებმა, თითქოს მისკენ გაწვდილმა ორმა პრიალა ხელმა, ინჟინერი გუსტავ ვალდონი მოაგონა, ბელგიელი სიძე. როდის იყო რომ ნახა იგი? ჰო, 1905 წელს საფერშლო სკოლა რომ დაამთავრა, ქუთაისში ნახა, ნათლია ვლადიმერ წერეთლის სახლში, რომლის ფასადი ლომებით იყო მოხატული. გუსტავის და ლიზიკოს ნიშნობა იყო.

— ფუნიკულორს აგიშენებთ, ყმაწვილო, მამადავითზე რონოდით აიქროლებთ. თქვენ კი კაპიტალიზმს ზრახავთ! — უთხრა გუსტავმა სიცილით. „კაპიტალიზმმა მოგვჭამა ჭირი! ნეტავ სად არის გუსტავი? სადღაც, კაპიტალისტებთან“. კომუნისტურ უნივერსიტეტში ზარმა დარეკა. სერგო შემოტრიალდა. ისევ შედგა სადარბაზო კარებთან. ჯერ კიდევ ისმოდა კიბეებზე ნაბიჯების ხმაური. კიდევ ცოტა და ყველაფერი მიწყნარდა.

„ახლა კი დროა“ — ფიქრიანად თქვა სერგომ, კარი შეაღო და კიბის საფეხურებს ფეხაკრეფით აუყვა.

მეორე სართულზე მორიგე კურსანტი გამოეგება.

— ამხანაგო სერგო!

— ჩუ, იყუჩე! — მიიდვა სერგომ ტუჩებზე თითი.

— დეკანატში წამობრძანდებით?

— არა, — სერგომ თავი გაიქნია.

— ლექციას დაესწრებით?

— არა! — და სერგომ, თითქოს კურსანტის ვინაობის გამოსარკვევად მოსულიყო, ჰკითხა:

— რა გვარი ხარ?

— ბრეგვაძე!

— სახელი?

— დავითი.

— ვისი შვილი?

— სიმონის ძე, ბატონო!

— ყოჩაღ სიმონ, კარგი შვილი გაუზრდიხარ!

კურსანტმა თავი დახარა.

— როგორ სწავლობ?

კურსანტმა უფრო დაიმორცხვა.

— ვიცი, ვიცი, ფრიადოსანი ხარ. ყველა კურსანტის სწავლის შესახებ ვიცი. ოღონდ, ის კი არ ვიცი — როგორ გკვებავენ.

— დიდებულად, ამხანაგო სერგო!

— დიდებული მაშინ იქნებოდა, დეკანატში რომ შევსულიყავი — გაფრენდნენ მზარეულთან. ასე და ასე, ორჯონიკიძე მოვიდა სადილის სინჯის ასაღებადო, წვენს თავს მოხდიდნენ, კატლეტსაც საგანგებოდ შეწვავდნენ, ჰა, — სერგომ კურსანტს ხელი დაჰკრა მხარზე, — ასე ჯობია, ძმობილო, მოულოდნელად „თავდასხმა“. ახლა კი მზარეულისკენ გამიძეხი, დავით სიმონის ძევ! — თქვა სერგომ ხუმრობის კილოთი და კურსანტს გაჰყვა.

მზარეულმა იცნო სერგო, გაოცებისაგან გაშეშდა და ჩამჩა კითხვის ნიშანივით ზეამართული დარჩა.

— რაზე შეწუხებულხართ, ბატონო სერგო?

— ბატონებმა ჭირი მოგვჭამეს, ვასო. ვასო გქვია არა?

— დიახ!

— ჰოდა, ვასო, ჯერ გამარჯობა!

— გაგიმარჯოთ, ბატ... ამხანაგო სერგო!

— ახლა ვასო, შენი ჭირიმე, მაგ ჩამჩით ამოურიე კარგად წვენს და სინჯი მომეცი!

მზარეულმა გაუბედავად ჩაუშვა ჩამჩა ქვაბში.

— ამოურიე, კარგად ამოურიე, თორემ კერძი თავზე მუდამ მსუქანია! — გაიცინა სერგომ. მზარეულმა მოურია და მათლაფაზე წვნიანი დაასხა.

— ეე, ძმობილო, განა სასადილოდ მოვედი, აკი გითხარი, ერთი კოვზი-თქო, — სერგომ მათლაფიდან ერთი კოვზი სინჯი აიღო და შესვა, ასევე შეამოწმა კატლეტი და კომპოტი.

— შენ კერძების მზადება პურის ცხობაზე უკეთესად გცოდნია, რაჭველო! — თქვა სიცილით სერგომ. მზარეულმა და კურსანტმაც გაიცინეს.

— ერთში კი მაინც ცოდავ, ვასო ჩემო! — შენიშნა უცბად სერგომ. მზარეული შეკრთა, თვალები კითხვის ნიშნად გადმოკარკლა და ენის ბორძიკით იკითხა:

— რრააში, ვცოდავ, ამხანაგო სერგო?

— უხალათოდ სამზარეულოში არ უნდა შემოგეშვი.

— გაიქე, ფერშალთან, გამოართვი ხალათი! — აჩქარა მზარეულმა კურსანტი.

— სწორედ ამიტომ მეც შევცოდე, არ მინდოდა ვინმეს გაეგო ჩემი აქ მოსვლა და უხალათოდ შემოველი. — მოიბოდიშა სერგომ.

— გამოსწორდება, ბატონო, ზედმეტ ხალათს შევაკერინებ თქვენთვის, თქვენს გარდა კი აბა ვის შემოვუშვებდი, ქვე თქვენი ჭირიმე. — მზარეულმა ჭირის ოფლი მოიწმინდა სახიდან და ჩამჩა ჩამოჰკიდა.

— აბა, მშვიდობით, ვასო ჩემო!

— მუდამ მშვიდობით გევლოთ, ორჯონიკიძევ!

სერგო კვლავ კურსანტს გაჰყვა და გამომშვიდობებისას უთხრა:

— მართალი ყოფილხარ, დავით, კვება დიდებული გქონიათ. აბა თქვენ იცით, ბიჭებო, როგორ კარგად ისწავლით, ჩვენს სახელმწიფოს სწავლული კადრები სჭირდება. თუ რაიმე გაგიჭირდეთ, მოდით, მითხარით, აგერ ვარ ყურისძირში!



50

აწყურის ციხე

სიმონ წვერავა

# აწყურელები

არის ასეთი სოფელი, მას ბოსლევი ჰქვია. იგი ზესტაფონის რაიონშია და ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი სოფელია. აქ დაიბადა ნაზი მუმლაძე. ჯერ ოთხი წლისაც არ იყო, რომ მშობლებს უკან აედევნებოდა და ყანაში მათ შრომას საკუთარი, ბავშვური თვალებით უყურებდა.

— ტატიანა, ქალო, როგორ შეიძლება ბავშვის აქ ყოფნა, გაცივდება, სახლში წაიყვანე! — ეტყოდა აკაკი მეუღლეს, მაგრამ პატარა ნაზი დედ-მამას არ სცილდებოდა, მათთან ტრიალებდა.

ხუთი წლის იყო ნაზი, მამა ფრონტზე რომ წავიდა, მერე იგი აღარ უნახავს, ბრძოლაში გმირულად დაეცა. დამწუხრებული ტატიანა ოჯახს მაინც ვაჟკაცურად გაუძლვა. შვილებს უმამობა არ აგრძნობინა. შვიდი წლის ნაზი სოფლის სკოლაში მიაბარა. 1944 წელს მუმლაძეების ოჯახი სხვებთან ერთად ახალციხის რაიონის სოფელ აწყურში ჩასახლდა. ტატიანამ კოლმეურნეობაში განაგრძო შრომა, ნაზი კი საშუალო სკოლაში სწავლობდა და თან დედის გვერდით, ყანაში თოხი ჰქონდა მომარჯვებული. 1957 წელს საშუალო სკოლა დაამთავრა და ახალციხის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმში განაგრძო სწავლა. ტექნიკუმის დამთავრების შემდეგ უფრო დიდი მონდომებით განაგრძო ფიზიკური შრომა კოლმეურნეობაში, ებრძოდა მიწას, მოჰყავდა უხვი მოსავალი.

მშრომელი გოგონა საოცრად გაიტაცა საქართველოს ამ უძველესი მხარის, მტრის ურდოებთან არაერთგზის ნაბრძოლი, ათას უბედურებაში გამოვლილი მესხეთის მდიდარმა და ქარიშხლიანმა წარსულმა. მიწას რომ ამუშავებდა, მისი გული მადლიანი ქართული მიწის გულს ეალერსებოდა, მიწაც არ ღალატობდა და ბეჯითი შრომის სამაგიეროდ დიდ მოსავალს აძლევდა.

1961 წელს აწყურში მერძევეობა-მეხილეობის საბჭოთა მეურნეობა შეიქმნა. ნაზიმაც არ დააყოვნა, სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმის ატესტატით საბჭოთა მეურნეობის თავკაცს, სოციალისტური შრომის გმირს, ნიკიფორე სარჯველაძეს წარუდგა და მეურნეობაში დაიწყო მუშაობა.

რამდენიმე თვის შემდეგ მეურნეობის დირექტორმა ახალგაზრდა ქალი დააწინაურა, მეურნეობის ერთ-ერთი აგროუბნის უფროსად დანიშნა.

დედას ახარებს შვილის წარმატება. თავად ამ მეურნეობის მოწინავე მწველავმა, შარშან თითოეულ ძროხაზე 1.600 კილოგრამი რძის ნაცვლად 2.400 კილოგრამი რძე მიიღო. წელს სამი ათასი კილოგრამისათვის იბრძვის. შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოებული დედა და მისი ქალიშვილი დილით ადრე გადიან სახლიდან და დაძაბულად შრომობენ. ტატიანას ვაჟიც უბამს მხარს შრომაში, რძალი კი სახლში ორ ბავშვს — ოჯახის ორ სიხარულს ზრდის.

...ნაზი უნარიანად უძღვებოდა აგროუბანს, მაგრამ გულში მაინც უკმარისობის გრძნობა აწვალებდა.

— დედი, თბილისში უნდა წავიდე! — განუცხადა ერთ დღეს დედას.

— თბილისში რა გინდა, შვილო?

— სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში უნდა ჩავირიცხო.

— მერე, აქ, მეურნეობაში როგორ იმუშავებ, გვტოვებ, გოგო?

— არა, დედა, დაუსწრებელზე ჩავირიცხები, აქ ვიმუშავებ და იქ ვისწავლი.

ტატიანამ შვილს გზა დაულოცა.

ახლა ნაზი მუმლაძე სწავლული აგრონომია. მან თავისი დაუღალავი და პატიოსანი შრომით ისე გაითქვა სახელი, რომ გასული წლის დეკემბერში მეურნეობის მთავარ აგრონომად დანიშნეს, და მერე როგორი მეურნეობის! იგი შეიქმნა 11 სოფლის — გიორგიწმინდის, შურდუს, ფერსას, წოხდევის, ზიკილიის, წინაუბნის, გურკელის, აგარის, მთისულის, წრიოხისა და აწყურის კოლმეურნეობათა ბაზაზე. ახლა გადავხედოთ მას ციფრების თვალით, თუმცა უმჯობესია მთავარ აგრონომს — ნაზი მუმლაძეს ვთხოვოთ, იგი უკეთ გვიამბობს მეურნეობის ავ-კარგს.

— აბა, ნაზი, რას გვეტყვით თქვენი მეურნეობის შესახებ?

— ჩვენი მეურნეობა ყოველწლიურად კარტოფილის, ბოსტნეულის, ხილის, რძის, ხორცის და მარცვლეულის უხვ მოსავალს იღებს. 1966 წელს ქვეყანას მივეცით 13.135 ტონა კარტოფილი, 6.954 ტონა — ბოსტნეული, 1.948 ტონა — ხილი, 5.974 ტონა — რძე, 1.923 ტონა — ხორცი, 73 ტონა — მარცვლეული; 1970 წელს — კარტოფილი — 23,000 ტონა, ბოსტნეული — 15.781 ტონა, ხილი — 6.782 ტონა, რძე — 12.350 ტონა, ხორცი — 3.840 ტონა, მარცვლეული — 159 ტონა. ხედავთ, ოთხი წლის მანძილზე რამდენად გადიდდა მოსავალი? ყველაფერი ეს ჩვენი მეურნეობის მუშაკთა დაუღალავი გარჯის შედეგია.

— რამდენი მსხვილფეხა პირუტყვი გყავთ?

— 3.250 სული. აქედან 800 მეწველი ძროხა, 100 ულელი — ხარი, 745 — ხბო; გვყავს 9.000 სული ცხვარი, 1.500 — ღორი, უთვალავი ფრინველი. 1970 წელს ჩავაბარეთ 25.000 ფრთა ქათამი, 1.075 ტონა — რძე.

მეურნეობას ლებედინისა და კავკასიურთან შეჯვარებული ადგილობრივი წაბლას ჯიშის ძროხები ჰყავს. ლებედინის ჯიშის ძროხა საშუალოდ წელიწადში 3.000 ლიტრ რძეს იწველის, მაშინ, როცა ადგილობრივი ჯიშის ძროხის საშუალო წველადობა მხოლოდ 1.200 ლიტრია. ამიტომ იყო, რომ ნაზი ასე მხურვალედ ლაპარაკობდა ლებედინის ჯიშის ძროხე-

ის უპირატესობაზე. მან მიამბო აგრეთვე მ ღონისძიებებზე, რომლებიც მეურნეობაში ხორციელდება საქონლის საკვების ოსამოვებლად.

საუბარს ვაგრძელებდით, როცა ნაზისთან ახლადარჩეული პარტიული კომიტეტის მდივანი, აგრონომი ლიანა მარტინენკო შემოვიდა.

ლიანასაც საინტერესო შრომითი ცხოვრების გზა აქვს განვლილი. იგი დაიბადა 1944 წელს ბორჯომის რაიონის სოფელ მოქცევში. რვა წლისას მამა გარდაეცვალა, მალე მისი ოჯახი ახალციხის რაიონში გადასახლდა, ჯერ სოფელ სხვივისში, ხოლო შემდეგ — აწყურში. დედამისი კოლმეურნეობაში მუშაობდა. ლიანამ აწყურის საშუალო სკოლა დაამთავრა და კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმაში მეხბორედ დაიწყო მუშაობა. შესანიშნავად უვლიდა ოთხმოც ხბოს, მერე მწველავი გახდა და წველის გეგმას დიდი გადაჭარბებით ასრულებდა. მალე ბრიგადირად აირჩიეს. ისიც სწავლას დაეშურა და ასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის დაუსწრებელი ფაკულტეტის სტუდენტი გახდა. მეურნეობაში თავდადებულ შრომასა და უმაღლესში სწავლას შესანიშნავად უთავსებდა ერთმანეთს. 1966 წლიდან ლიანა მარტინენკო ამ მეურნეობის აგრონომ-ენტომოლოგის თანამდებობაზე მუშაობს. მას კომკავშირულ-პარტიული მუშაობის საკმაო გამოცდილებაც აქვს: იყო ამ მეურნეობის კომკავშირის კომიტეტის მდივანი, არჩეული იყო საკავშირო ლენინური კომკავშირის მე-14 ყრილობის დელეგატად, საქართველოს კომკავშირის ცენტრა





აწყურელები

ლური კომიტეტის წევრად, იყო საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV ყრილობის დელეგატი. გასული წლის დეკემბერში იგი მეორედ აირჩიეს (პირველად 1965 წელს) აწყურის საბჭოთა მეურნეობის პარტიული კომიტეტის მდივნად. მერე არ იკითხავთ, რა დიდი ორგანიზაციაა? 275 კომუნისტს აერთიანებს.

ლიანას არასოდეს დაავიწყდება 1964 წელი. ამ წელს ცხინვალში მოეწყო ცხვრის მპარსავთა რესპუბლიკური შეჯიბრება. პირველი ქალი იყო ლიანა, რომელმაც ელექტრომანქანით 6 წუთში გაპარსა ცხვარი და საქართველოს კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის სამახსოვრო ვიმპელიც დაიმსახურა.

ახლა ორივენი — ნაზიც და ლიანაც, ღვიძლი დებივით შეხმატკბილებულად რომ შრომობენ, სიხარულით შეხვდნენ საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების 50-ე წლისთავს.




# საქართველოს ფერადი მეტალურგიის პირმშო

დგანან და ელიან. უსაზღვროა მთების მოლოდინი, უსაზღვროა მათი გულის ნადები. ბევრი არიან, ბევრზე ბევრი, მაგრამ თითოეული თავისებური, და კაცნი ადვილად არჩევენ ერთმანეთისაგან, თუმცა ზოგისთვის სახელიც არ დაურქმევიათ. ეს მთა კი ოდითგანვე მოუნათლავთ, სახელი უმთავრესი ნიშნის მიხედვით შეურჩევიათ და მადნეული უწოდებიათ. ბოლნისიდან დასავლეთით, მადნეულისაკენ მიმავალ გზას რომ გაჰყვებით, ხელმარჯვნივ XVII საუკუნის ქვეშის ციხე შემოგეფეთებათ და სულს აგიფორიაქებთ. ქვეში — ზვიადი და დაუმცხრალი თავადების — ორბელიანების ნაფუძარი! აქვე ახლოს სულხან-საბას ტანძიაა. აქედან ხელისგულივით მოჩანს ბოლნისის შემოგარენი და მიწის ყოველ მტკაველს ისტორიის ნატერფალი ატყვია, ზოგან იდუმლად და ფერგადასულად, ზოგან ხილულად და თვალსაჩინოდ. აქ სიონის ტაძარზე ახლაც გალობს გადარჩენილთა შორის უხნესი და უპირველესი ქართული წარწერა, ჩუქურთმებში კი ქართული ვაზი ხარობს, დამტევნილი. აქ ჟამთა ნამუსვრალიც იგრძნობა: ქართული სოფლები ოდესღაც უცნაურად გადაუნათლავთ, სმენას ეხამუშება, ენას ეჩოთირება მათი წარმოთქმა. ბევრი რამ უკვალოდ გამქრალა ან საიდუმლოდ დამარხულა მიწის წიაღში, რომ ხელმეორედ გამომზეურდეს. სამხრეთ საქართველო დღესდღეობით ნაკლებადაა შესწავლილი, ის კი ცნობილია, რომ ბოლნისი და მისი მიდამოები ერთ დროს მადნეულის მოპოვება-დამუშავების ცენტრი ყოფილა. გავერანებულან და ჩაშრეტილან მადნეულის დამამუშავებელი კერები, დადუმებულან ქურები და სამჭედლოები, მაგრამ შემოგვრჩნენ მთები, მდინარეები, სოფლები, ნასოფლარები და მათი სახელები, რომლებიც მამა-პაპათა საქმიანობაზე მიგვანიშნებენ: მდინარე ფოლადაური, ფოლადაურის ხეობა, ნასოფლარი სარკინეთი, სოფელი დემირლო, რომელიც ქართულად სარკინეთს ნიშნავს, და მთა მადნეული; შემოგვრჩა აგრეთვე ქართველი გეოგრაფისა და ისტორიკოსის ვახუშტის ცნობა — „ჭაპალის დასავლეთით არს ხევი სარკინეთისა, სარკინეთს ითხრების ლითონი რკინისა და სპილენძისა და იპოვების მცირე ლაჟვარდიცა, ამის დასავლეთით დის მდინარე ფოლადაური“.

ინჟინერ-ტექნოლოგი
ნადია სვინტიძე



დღეს ამ მიდამოებში დიდი საძიებო-გეოლოგიური სამუშაოებია გაშლილი. ჩვენც იქით მივიჩქარით. უეცრად გზა ლარივით სწორდება. მაღალი შენობების სითეთრე და ყვითელი ქანით აფერადებული ფერდობი შორიდანვე აყუჩებს ფიქრებს. ეს მადნეულია, მადნეული. იქნებ ამ სახელმაც ჩააფიქრა გეოლოგები, აიღებინა ხელში ბურღი, გეოლოგიური ჩაქუჩი და საველე ლაბორატორიული ხელსაწყოებიდ. როცა 1954 წელს მადნეულს მიადგნენ, მკერდი გაუხსნეს და მისი გულისნადები ქვეყანას ამბად მოჰფინეს. მიწისპირიდან ორმოციოდე მეტრის სიღრმეზე ბარიტის მდიდარი საბადო აღმოაჩინეს, ამავე წლიდან ბარიტის ლოდებს პირი უჩინეს და მისი მოპოვება დაიწყეს.

ახლა ბარიტის საბადო თანდათან სიღრმისკენ მიიწევს. მზის სინათლე დამარხულმა ქართულმა მარანმაც იხილა. მარანში 14 ქვევრია ჩაკირული, აქვეა ვაზის სასხლავი დანა. ეტყობა, ვაზის კულტურა აქ მაღალ დონეზე ყოფილა ძველად. ახლა კი მადნეულზე შეფენილ სოფელ კაზრეთში მევენახეობას აღარავინ მისდევს. დროდადრო მიწიდან ბარიტთან ერთად წიდა, ლითონის დნობის ნარჩენები ამოდიოდა. ექსკავატორის დინგს წამოეგო ლითონდამამუშავებელი ქურები და მადნეულის სანაყი გრდემლები. 1959 წელს გეოლოგებმა მიწისგულიდან ახალი მადნეულის — ხალკოპირიტის ამბავი ამოიტანეს. ამავე წლიდან საძირკველი გაეხსნა მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობას. კომბინატი ორი ნაწილისაგან შედგება: კარიერი — სამთო უბანი და გამამდიდრებელი ქარხანა.

კარიერი გულისხმობს სამთო-მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარებას და საბადოს მომზადებას. დიდი საქმე აკისრიათ სამთომოსამზადებელი სამუშაოების მწარმოებლებს. კარიერის დამუშავებას ხელმძღვანელობს ახალგაზრდა ინჟინერი ირაკლი გოგიტიძე. ამ უბანზე სასახელოდ შრომობს ზურაბ ნემსაძის კომუნისტური შრომის ბრიგადა — მეექსკავატორე თედორე ჩუკოვი, მიხეილ კაპანაძე, ბორის ნაუმენკო, სოგრატ ჭავჭავაძე და სხვები. მათ 10 მილიონი კუბური მეტრი ფუჭი ქანი უნდა გადახსნან. ეს ძნელი და შრომატევადი სამუშაოა, მაგრამ გაცილებით უფრო ადვილი, ვიდრე მიწის ბურღვა და გვირაბების გაყვანა. საბადოს ღია წესით დამუშავება დაზოგავს დროს, ენერგიას, შეამსუბუქებს შრომას.

მადნეულის სპილენძგამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა დამთავრდება მიმდინარე ხუთწლედში. კომბინატის მშენებლობასთან ერთად კომბინატის დირექცია აწარმოებს სამეცნიერო-საკვლევ მუშაობას სპილენძის მიღების ახალი მეთოდის წარმოებაში დანერგვისათვის. კომბინატს აქვს საცდელი ქარხანა და საცდელი ავტოკლავი.

მადნის გამამდიდრებელ ქარხანაში ხდება მინერალ — ხალკოპირიტის დამუშავება. ხალკოპირიტის შემადგენელ ნივთიერებათა კონცენტრატების მიღების შემდეგ იწყება სპილენძის კონცენტრატის დამუშავების ახალი პროცესი. ეს არის ავტოკლავების პროცესი. ავტოკლავის დანადგარის კონსტრუქციის ავტორები არიან ლენინგრადის ინსტიტუტი და საკავშირო სამეცნიერო ინსტიტუტი „გიპრონიკელი“.

საცდელ-სამეცნიერო ავტოკლავზე სპილენძის მიღების ცდებს აწარმოებენ ინ-

ჟინერ-ტექნოლოგი ნადია სვინტიძე და ავტოკლავის მეაპარატე გივი ლოლაძე. სპილენძის კონცენტრატისაგან სპილენძის გამოტუტვის ავტორია საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ქიმიის ინსტიტუტის პროფესორი პლატონ გოგორიშვილი, ხოლო სპილენძის მიღების ელექტროლიზის მეთოდი ეკუთვნის საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს რაფიელ აგლაძეს. თუ ამ ახალმა მეთოდმა გამოცდა წარმატებით ჩააბარა და ეკონომიურადაც ხელსაყრელი გამოდგა, კომბინატში დაინერგება სამრეწველო მნიშვნელობის ავტოკლავები. ავტოკლავების მეთოდი შეცვლის სპილენძის მიღების დღევანდლამდე არსებულ პირომეტალურგიის მეთოდს.

— ჩვენ ძალასა და ენერგიას არ დავიშურებთ ამ ახალი მეთოდის სრულყოფისა და ჩვენს კომბინატში დანერგვისათვის.



გამამდიდრებელი მადნის კუდი



მუშა ეთერ ათარბეგოვა



მუშა ლამზირა ასლანიანცი



კარიერზე მუშაობა

ეს არის პროგრესული სიტყვა სპილენძის მოპოვების დარგში. ეს მეთოდი იმითაცაა სასურველი, რომ არ გაჭუჭყიანდება ჰაერი, წყალი, მცენარეულობა, დაიზოგება მუშახელი, შემცირდება ჯაფა, — გვეუბნება მადნეულის სპილენძგამამდიდრებელი კომბინატის საწარმოო-ტექნიკური განყოფილების უფროსი აკაკი მეტრეველი.

მადნეულის სპილენძგამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობამ დიდი გავლენა იქონია ამ მხარის ეკონომიურ განვითარებაზე. 1966 წელს კომბინატის დირექციამ 44 კმ სიგრძის ელექტროფიცირებული რკინიგზა გაიყვანა მადნეულიდან მარნეულამდე. ამით ბოლნისის რაიონი დედაქალაქს დაუკავშირდა, ხოლო დმანისის რაიონს 44 კმ-ით შეუმცირდა საავტომობილო ტვირთბრუნვა. კომბინატის მშენებლობასთან ერთად, მადნეულის ტერიტორიაზე სოფელ კაზრეთში დაიწყო ბინათმშენებლობა. მანამდე აქ 188 კომლი ცხოვრობდა, დღეისათვის 580 კომლია, აქედან უმრავლესობა უახლესი ტიპის მრავალსართულიან, კეთილმოწყობილ სახლებშია დაბინავებული. კაზრეთში არის ქართული და რუსული საშუალო სკოლა, მუშა-ახალგაზრდობის სკოლა, პოლიტექნიკური სასწავლებელი, კლუბი, ბიბლიოთეკა, საბავშვო ბაღი, გახსნილია მუშათა სასადილო და საზოგადოებრივი სასადილო. აქვთ 5 გასტრონომიული და ავეჯკავეულობის მაღაზია. მოსახლეობას მომსახურებას უწევს საყოფაცხოვრებო მომსახურების ბოლნისის კომბინატის ფილიალი და სამედიცინო პუნქტი.

ამჟამად კაზრეთში შენდება: სკოლა 1000 მოსწავლისათვის, უახლესი ტიპის მაღალსართულიანი საცხოვრებელი სახლები 25000 მობინადრისათვის, 500-ადგილიანი კინოთეატრი.

ზეცას სწვდება ტრაქტორების, ექსკავატორებისა და ბულდოზერების გრიალი, სატვირთო და თვითმცლელი მანქანების გუგუნი. მშენებლობაზე ვეფხვებივით ტრიალებენ ენერგიით სავსე დევკაცები: დამხმარე წარმოების უფროსი გიორგი ჰუნირიძე, მებეტონეთა ბრიგადის ბრიგადირი ნიკოლოზ დემირჩევი, რაციონალიზატორი ვლადიმერ პეტრენკო, მებეტონეები მარიამ დემურიშვილი, ფატი ბალახაძე და სხვები. და ამ საერთო შრომის ფერხულში იბადება კიდევ ერთი ახალი საკავშირო მნიშვნელობის ობიექტი — მადნეულის სპილენძგამამდიდრებელი კომბინატი — ქართული ფერადი მეტალურგიის პირმშო.

მარიკა გვიმრაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა



# ქსენია ბახტაძე

ეს მისი სამუშაო ოთახია, მაგრამ, ერთბაშად ვერც კი მიხვდებით, კაბინეტია იგი, ლაბორატორია, თუ ორანჟერეა.

ორმოც წელზე მეტია აკადემიკოსი ქსენია ბახტაძე ამ ოთახში მუშაობს, მუშაობს მეცნიერის თავდადებით, შემართებით, სიხარულითა და მღელვარებით.

ჩაქვი! ბევრი რამაა დაკავშირებული ამ სახელთან. ასი წლის წინ პროფესორი ბ. კრასნოვი ჩაქვს დიდ მომავალს უწინასწარმეტყველებდა: „აქაურ ჩაის თუ სწორად გამოიყვანთ, მოკრეფთ და მოუვლით, იგი ჩინური ჩაის საუკეთესო ჯიშებს გაუტოლდება და აჯობებს კიდეც. თამამად შეიძლება ითქვას, რომ კოლხეთი ჩინურის მაგივრად კოლხურ ჩაის დალევს და განა მარტო კოლხურს?“

ახლა, როცა ჩაქვის ჩაის პლანტაციებს ათვალიერებ, რომლებიც ზღვას მწვანე ტალღებივით უერთდება, აღფრთოვანებას ვერ მალავ. ჩაქვი იქცა სწორედ ქართული ჩაის აკვნად. ორმოც წელზე მეტია აქ დაუღალავად შრომობს ქართველი მეცნიერი ქსენია ბახტაძე. რამდენი რამ მოასწრო ამ სუსტი აგებულების ქალმა, რამხელა ცეცხლი და ენერგია ჰქონია მას!

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დამთავრების შემდეგ ქსენია ბახტაძე მუშაობას იწყებს თბილისის ბოტანიკური ბაღის მეთესლეობის საკონტროლო ლაბორატორიაში. მალე მის ყურადღებას იქცევს სელექციის მეთოდი. ამ საკითხებზე იგი მუშაობს გარდაბნის მემინდვრეობის საცდელ სადგურში.

სახელოვანი მეცნიერის შემოქმედებით შრომას ფართო გაქანება 1928 წლიდან ეძლევა. ახლადშექმნილი ჩაის საბჭოთა მეურნეობების ტრესტში მას ურჩევენ სამუშაოდ წავიდეს ჩაისა და სუბტროპიკულ კულტურათა სრულიად საკავშირო სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალში, რაზედაც ქალიშვილი უყოყმანოდ თანხმდება.

პირველსავე დღეებიდან ქსენია ბახტაძემ ხელი მოჰკიდა ჩაის თესლის სელექციის საკითხს. სულ მალე იგი წერს პირველ მეცნიერულ შრომას ჩაის თესლის შენახვის გამოცდილების შესახებ. გადის წლები, უკვე ხშირად მიმართავენ მას რჩევა-დარიგებისათვის, ბევრი მისი მოსაზრება და წინადადებაა ქართულ და საკავშირო ჟურნალ-გაზეთებში გამოქვეყნებული. თვალსაჩინო შრომებისათვის ქსენია ბახტაძეს დისერტაციის დაუცველად ანიჭებენ სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხს. ეს იყო 1936 წელს. ორიოდე წლის შემდეგ კი, როცა დღის წესრიგში სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალის სელექციის განყოფილების გამგის შერჩევის საკითხი დადგა, ყველამ ერთხმად ქსენია ბახტაძე დაასახელა.

რატომ არ შეიძლება გამოვიყვანოთ უფრო უხვმოსავლიანი და ყინვაგამძლე ჩაის ჯიშები? აი რა დაისახა მიზნად ახალგაზრდა მეცნიერმა. დაძაბულ შრომაში გადიოდა დღეები, კვირეები, თვეები; მოპოვებულია პირველი სერიოზული გამარჯვება. 1941 წლისათვის ქსენია ბახტაძემ შექმნა სამამულო ჩაის სრულიად ახალი ჯიშები — „ქართული № 1“ და „ქართული № 2“, რომლებშიც შერწყმულია ჩინური ჩაის ყინვაგამძლეობა და ინდურის ნაზი სურნელი, თანაც ძველ ჯიშებთან შედარებით 30-35 პროცენტით მეტ მოსავალს იძლევიან.

ჩაის ახალი ჯიშების გამოყვანა დაედო საფუძვლად ქსენია ბახტაძის სადოქტორო დისერტაციას. 1949 წელს ჩაის ჯიშობრივი გაუმჯობესების საქმეში ხანგრძლივი, ნაყოფიერი მუშაობისათვის ქართველ მეცნიერ ქალს პირველი ხარისხის სახელმწიფო პრემია ენიჭება.

ქსენია ბახტაზე მიღწეულით არ კმაყოფილდება, გამოყავს ახალ-ახალი ჯიშები, რომლებსაც აშენებენ კრასნოდარის მხარეში და მოძმე აზერბაიჯანში. ნაყოფიერი მეცნიერული მოღვაწეობისათვის სასიქადულო მეცნიერს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტად ირჩევენ, 1955 წელს კი — აკადემიის ნამდვილ წევრად. 1957 წელს ქსენია ბახტაძე ვ. ი. ლენინის სახელობის სრულიად საკავშირო სასოფლო-სამეურნეო მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი ხდება.

ოცამდე ჩაის ჯიში გამოიყვანა სახელოვანმა ქართველმა მეცნიერმა და ყოველი მათგანის შესახებ დიდი გატაცებით მოგვითხრობს:

— ეს არის ჩემი საყვარელი „ქართული № 5“, მას „კანგრასაც“ ვუწოდებთ — ჰიმალაის ველის სახელს, სადაც მისი წინაპრები ხარობენ. მას სხვა ჯიშები ვერც მოსავლით შეედრება, ვერც სილამაზითა და სურნელით, — ამბობს იგი და სქელფოთლებიან ჩაის ყლორტს გვიჩვენებს, — მართალია შეუხედავია, სამაგიეროდ 20 გრადუსზე მეტ ყინვას უძლებს. სახელიც შესაფერისი შევარქვით — „ზამთრის გმირი“. ამ ბუჩქმა კრასნოდარის მხარემდე მიაღწია, — განაგრძობს მეცნიერი და ახლა სხვა ბუჩქებთან მივყავართ. — ჩაის ხარისხზე ხშირად უსაფუძვლო საყვედურები გვესმის, ბევრი ჩაის მწარმოებელი ქვეყანა მინახავს, მათი ჩაიც დამილევია და დაბეჯითებით შემიძლია ვთქვა, რომ ძვირფას ნივთიერებათა შემცველობით ჩვენს ჩაის ვერც ერთი ვერ შეედრება. ჩაის მოყვარულნი ჩაის არომატით აფასებენ, არომატს კი ეთეროვანი ზეთები ქმნიან. როცა დამზადებულ ჩაის პროდუქციას საწყობებში დიდხანს აჩერებენ, ზეთები ორთქლდება, რაც დიდად სცემს ჩაის ხარისხს. ჩვენი სავაჭრო ორგანიზაციები რომ უფრო მოიინდომებდნენ, მომხმარებელი დროზე მიიღებს ახალ, არომატულ ჩაის, — გულისტკივილით აღნიშნავს მეცნიერი ქალი.

საზღვარგარეთის ქვეყნებში, როგორიცაა, ინდოეთი და ცეილონი, ჩაის ბუჩქი მხოლოდ 20-25 წელიწადს ცოცხლობს; ტროპიკებში მას ბევრი ავადმყოფობა და მავნებელი აზიანებს. საქართველოში ასეთი საშიშროება არ არსებობს და ბუჩქებიც უფრო მეტ ხანს ძლებენ. აჭარაში არის ძველი პლანტაციები, რომლებიც ამ 60-70 წლის წინათ გაუშენებიათ. ისინი ახლაც კარგად გრძნობენ თავს და მოსავალსაც იძლევიან. ახლო მომავალში მაინც საჭირო გახდება მათი განახლება.

დიდი მოთხოვნილებაა ქართულ სელექციურ ჩაიზე საზღვარგარეთის ქვეყნებში. უკანასკნელ წლებში ასობით კილოგრამი საუკეთესო ჩაის თესლის ნიმუშები გაიგზავნა ეგვიპტეში, იემენში, იუგოსლავიაში, ჩეხოსლოვაკიაში, ვიეტნამსა და სხვა სახელმწიფოებში.

ქართული ჩაის სელექციისა და ხარისხის გაუმჯობესებისათვის მუშაობა კვლავაც გაგრძელდება.

მხოლოდ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობით როდი შემოიფარგლება მეცნიერი ქალის მოღვაწეობა: ხშირად ნახავთ მას კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში, მოწინავე მეჩაიეთა შეკრებებზე, კონფერენციებსა თუ ყრილობებზე, რომლებშიც აქტიურ მონაწილეობას ღებულობს.

ღვაწლმოსილ მეცნიერს ამაგი დაუფასდა. ქ. ბახტაძე არაერთხელ იყო არჩეული ხელისუფლების უმაღლეს ორგანოებში, მინიჭებული აქვს სოციალისტური შრომის გმირის საპატიო წოდება, დაჯილდოებულია ლენინის, შრომის წითელი დროშის, „საპატიო ნიშნის“ ორდენებითა და მედლებით.

რ. გორგაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენს სახელოვან მეცნიერებს ქ. ლომთათიძესა და ნ. ჯავახიშვილს ესაუბრა რედაქციის მუშაკი ნ ა ნ უ ლ ი ც ა გ ა რ ე ი შ ვ ი ლ ი.

# ქეთევან ლომთათიძე

ოცდაერთი წლისა მოვიდა ქეთევან ლომთათიძე მეცნიერებაში, მოვიდა და მაშინვე ქართული და მისი მონათესავე ენების აგებულებისა და ისტორიის საკითხებით, კერძოდ, კავკასიის აბორიგენი მოსახლეობის ენების ქართულ ენასთან ნათესაური კავშირით დაინტერესდა.

— ენების ნათესაობა ადამიანების ნათესაობასა ჰგავს, — გვეუბნება სახელოვანი ქართველი მეცნიერი. — არიან ენები დაძმები, ენები — ბიძაშვილები და გარეშე ბიძაშვილები.

აფხაზურ-ადიღეური (ჩერქეზული) ენები ქართულ ენას, ასე ვთქვათ, ბიძაშვილებად მოხვდება.

ამ ენებზე მუშაობის დასაწყისშივე ხელი მოვკიდე აფხაზური ენის შესწავლას, მისი ყველა დიალექტის გათვალისწინებით.



30-იანი წლებიდან, არნოლდ ჩიქობავას ხელმძღვანელობით, გაიშალა მუშაობა მთის ენების ფართო მასშტაბით შესწავლისათვის, რის შედეგადაც შეიქმნა თბილისის ლინგვისტ კავკასიოლოგთა სკოლა. იგი შეისწავლის ქართულისა და კავკასიურ ენათა ისტორიულ-გენეზისურ კავშირს.

1945 წელს ქართველ მეცნიერთა საზოგადოება მეტად სასიამოვნო ფაქტის მოწმე გახდა: მათ წინაშე სადოქტორო ხარისხის დასაცავად წარსდგა სრულიად ახალგაზრდა ქალი, რომლის კვლევის თემა გახლდათ „აფხაზური ენის ტაფანური დიალექტი". ეს ნაშრომი ჯერ კიდევ ხარისხის დაცვამდე კარგა ხნით ადრე იყო წიგნად დასტამბული. აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას აზრით, ყველა ნაშრომი დაცვამდე უნდა ყოფილიყო სრულყოფილი და წიგნად გამოცემული, რაც ერთგვარი დასტურიც იყო მის დასაცავად.

წიგნი გამოიცა ომის მძიმე წლებში. რთული სასტამბო პირობების გამო ახალგაზრდა მეცნიერი იძულებული იყო საკუთარი ხელით ბეჭდური ასოებით დაეწერა მთელი წიგნი, რომელიც შემდგომ ქვაზე იქნა გადატანილი (ბეჭდვის ერთ-ერთი ხერხია) და 150 ცალად გამრავლებული. ასეთი კოლოსალური შრომის უნარი მხოლოდ ჭეშმარიტ მეცნიერად დაბადებულ ადამიანს შესწევს.

ქეთევანმა უფლება არ მოგვცა გამოგვექვეყნებინა მისი ხელმძღვანელის — სიმონ ჯანაშიას წერილი, რომელიც მან დისერტაციის დაცვის დღეს მიიღო (მეცნიერი ავად იყო და დაცვას ვერ ესწრებოდა). ეს სითბოთი და სიყვარულით დაწერილი ლაკონური ბარათი ბევრს ეტყოდა მკითხველს ფილოლოგიურ მეცნიერებათა პირველი ქართველი დოქტორი ქალის ქეთევან ლომთათიძის შესახებ.

ქეთევან ლომთათიძე ათი წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტს. ამ ინსტიტუტის ბაზაზეა შექმნილი ქართული განმარტებითი ლექსიკონის რვატომეული, რომელიც მთელი ოცი წლის მანძილზე მუშავდებოდა. მეშვიდე ტომის ერთ-ერთი რედაქტორია ქეთევან ლომთათიძე. ეს ლექსიკონი, რომელიც აკადემიკოს არნოლდ ჩიქობავას საერთო რედაქციით გამოვიდა, უდავოდ დიდი ეროვნული შენაძენი გახლავთ, რომლითაც სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ.

ფრანგმა ქართველოლოგმა რენე ლაფონმა, როგორც რუსები იტყვიან, „თეთრი შურით" განაცხადა: ისეთ კულტურულ ერს, როგორიც ფრანგებია, ამგვარი განმარტებითი ლექსიკონი არ გააჩნიათო.

ამავე ინსტიტუტის მიერ იქნა გამოცემული რუსულ-ქართული ლექსიკონის სამტომეული. ლექსიკონზე მუშაობა უდიდეს ნებისყოფას, შრომას, ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს. ბევრი იყო სირთულე, წინააღმდეგობა და გულისტკენა ამ ლექსიკონის შექმნის პერიოდშიც და გამოცემის შემდეგაც. მაგრამ ერთი რამ უდავოა, ეროვნული საგანძური კიდევ ერთი ძვირფასი შენაძენით შეივსო და გამდიდრდა.

ქეთევან ლომთათიძის ხელმძღვანელობით დამუშავდა კიდევ ერთი რუსულ-ქართული ლექსიკონი, ამჯერად ერთტომეული, რომელსაც მკითხველი მალე მიიღებს.

ქეთევან ლომთათიძის უშუალო პედაგოგიური და მეცნიერული ხელმძღვანელობით ათობით ახალგაზრდამ დაიცვა სამეცნიერო ხარისხი; იგი მთელი მონდომებითა და თავდადებით მუშაობს თავის მოსწავლეებთან, გადასცემს მათ თავის ცოდნასა და გამოცდილებას.

ამჟამად სახელოვანი ქართველი მეცნიერი ქალი მუშაობს აფხაზურ-ადიღეურ ენათა შედარებით გრამატიკაზე.

გარდა სისხლსავსე მეცნიერული მუშაობისა, ქეთევანი ეწევა დიდ საზოგადოებრივ საქმიანობასაც. იგი იყო სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს ორი მოწვევის დეპუტატი, ასრულებდა და ასრულებს უამრავ საზოგადოებრივ დავალებას, პირნათლად ემსახურება მშობლიურ ერს.

# ნინო ჯავახიშვილი



შ ე კ ი თ ხ ვ ა: რომელ წელს დაარსდა ექსპერიმენტული მორფოლოგიის ინსტიტუტი და რა მიზანს ემსახურება იგი?

პ ა ს უ ხ ი: ინსტიტუტი დაარსდა 1946 წელს. ჩვენი დაწესებულების მეცნიერული კვლევის მიზანია ექსპერიმენტული მეთოდის გამოყენებით შევისწავლოთ ის ცვლილებები, რომლებიც მიმდინარეობს ორგანიზმში სხვადასხვა პირობებში. ჩვენი მიზანია, ისე შევცვალოთ ეს პირობები, რომ ისინი ჰქმნიდნენ ამა თუ იმ დაავადების მსგავს სურათს. ცდები ძირითადად ცხოველებზე ტარდება, მთელი რიგი მიზეზების გამო ადამიანზე ცდების ჩატარება შეუძლებელია.

შ ე კ ი თ ხ ვ ა; რა პრობლემებზე მუშაობს ინსტიტუტი?

პ ა ს უ ხ ი: ძირითადად სამ საკითხზე: ნომერი პირველი პრობლემაა გულსისხლძარღვთა სისტემის შესწავლა. ეს საერთოდ მედიცინის უპირველესი ამოცანაა; მეორე პრობლემაა ავთვისებიანი სიმსივნეები; მესამე — უჯრედების გამრავლების მარეგულირებელი მექანიზმების შესწავლა და გამოცნობა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შ ე კ ი თ ხ ვ ა: პირადად თქვენი კვლევის საკითხს რა წარმოადგენს?

პ ა ს უ ხ ი: ვმუშაობ გულსისხლძარღვთა პრობლემებზე. ჩვენ ინსტიტუტში ხდება ყველა ორგანოს და ქსოვილის შესწავლა, სისხლძარღვთა უწვრილესი კაპილარების ჩათვლით; ყველაზე დიდი ადგილი ეთმობა გულის სისხლით მომარაგების საკითხს.

ასაკის მომატებასთან ერთად ქვეითდება გულის კუნთის სისხლით მომარაგება. როცა ცდების საშუალებით გულის კუნთს კვება დავურღვიეთ, ისეთივე ცვლილებები განვითარდა, როგორც ეს ასაკის მომატებისას ხდება.

ვცდილობთ გულს არტერიის ნაცვლად ვენებმა მიაწოდოს სისხლის ნაწილი მაინც. არტერიაში სკლეროზის განვითარებასთან დაკავშირებით ვიწროვდება მისი სანათურები და აყოვნებს ვენებში სისხლის მიწოდების პროცესს. ვენებს ჟანგბადით გაჯერებული სისხლი მიაქვს გულთან და ჩვეულებრივზე დიდხანს აჩერებს მას გულის კუნთთან, ისე რომ, ახდენს ერთგვარ კომპენსაციას. თუ ასე არა, ასაკის მომატებასთან ერთად, მეტად გართულდებოდა გულის კუნთის სისხლით მომარაგება.

შ ე კ ი თ ხ ვ ა: რა არის თქვენი კვლევის ძირითადი მიზანი?

პ ა ს უ ხ ი: ჩემი კვლევის ძირითადი და ბოლო საკითხია არტერიის დაზიანებული, შევიწროვებულსანათურიანი უბნების სხვა მასალით, კერძოდ, ვენებით შეცვლა.

მთელმა რიგმა ცდებმა დაამტკიცა, აქამდე არსებული მეთოდის — არტერიის დაზიანებული უბნის ხელოვნური მილით შეცვლის ნაკლებსაიმედობა. და აი, მიზნად დავისახე, გამოვიყენო ადამიანის სხეულიდან აღებული მასალა — ვენა, რომელიც არტერიაში ჩაკერების — არტერიად გამოყენების შემდეგ იძენს არტერიის თვისებებს. ეს მეთოდი, ვფიქრობ, ხელსაყრელი უნდა აღმოჩნდეს. ამას დიდი გამოყენება ექნება თირკმლის არტერიის დაზიანების შემთხვევაშიც.

ჩვენი მუშაობის ეს შედეგი 1970 წლის აგვისტოში მოსმენილ იქნა ლენინგრადში, ანატომთა საერთაშორისო კონგრესზე და დადებითი შეფასება მიიღო.

50

მარიჯან

## არ შევასრულე ჯერ ჩემი ხვედრი

მუდამ მახარებს ლექსის დაწერა
დილის განთიადს თუ ლექსით ვხვდები.
დრო მირბის,
მაგრამ მე მაინც მჯერა
არ შევასრულე ჯერ ჩემი ხვედრი.
უძილო ღამით თავს ვეკითხები:
რა გავაკეთე?
რა შემიძლია?
მე სხვის წინაშე ვერ დავიხრები,
ვერც მივყუჩდები როგორც ნიბლია...
ყველასთვის მუდამ კარგი მინდოდა,
მინდა ეს წელიც ისე დასრულდეს
არ იყოს ომი,
უამინდობა,
რომ ერთმანეთი ხალხებს არ სძულდეთ.
არ იყოს ჩვენთან
არც მიწის ძვრები,
არც წყალდიდობა,
არც ტყის ხანძრები.
კვლავ გვამშვენებდეს ბაღები, ზვრები,
მთის მწვერვალებზე ძველი ტაძრები.
რაც მთავარია: ახალგაზრდობა
იყოს ჯანსაღი
და გონიერი,
რომ მარად შერჩეთ რწმენა და ნდობა
და საქართველოს შნო და იერი.

ნინო ძოძულაშვილი

* * *

განა ისე რა დიდი ხანია,
არ მინახია ჩემი თბილისი,
არ განმიცდია ქართლის ფერები,
ზეცა ლაჟვარდი, მთები ყირმიზი.

განა ისე რა დიდი ხანია,
არ მინახია ჩემი თბილისი.
შემოდგომაა,
ფიქრის, ოცნების
შინ მიფრინავენ ჩემი ფრთოსნები...

დილომთან ახლა ქარი ფრთებსა შლის,
ხე აფრიალებს ყვითელ მანტიას,
თიხის ქედებთან, ბებერ მცხეთაში
სვეტიცხოველი მტკვარს ახატია.

გზები, ო, გზები,
გზებს რა სცოდნიათ,
უკან მიხმობენ გამალებითა,
ნეტავი ახლა ნატახტრის წყალი
რამდენიც მინდა დამალევინა.

ნელი გაბრიჩიძე

## მამული მარად

კეთილშობილი ვნება — მამული,
თეთრი კლდეები, სიმაღლე ვრცელი,
მამული მარად, ამდენი წელი...
მწვანე ხაზები, მწვანე ხაზები...

მწვანე ფოთლები, მწვანე ოდები,
მთები, ვარდები კრამიტის ფერი,
აყვავებული მვავი და ქერი,
მაღალი ჭერი, რა დარბაზები...

დაფნა,
ვენახი,
ქუთაისი,
თბილისთან მტკვარი,
მამული, რაიც აგავსებს და
სიმაღლით გიხმობს,
ასე დარჩება,
ასეთია,
ასეთი იყო,
დაფნა, შავი ზღვა, ნიკორწმინდა,
თბილისთან მტკვარი.

მწვანე ნაძვები,
დარხეულნი სამრეკლოებად,
მწვანე და მძიმე ვარსკვლავები,
სინათლის მფენი,
შადრევნებივით მაღალი დღენი,
მამული, რაიც აგავსებს და მშვენიერია...

თეთრი კლდეები, სიმაღლე ვრცელი,
მთები, ვარდები კრამიტის ფერი.
მამული — ვნება კეთილშობილი,
მამული მარად... ამდენი წელი...

მარი აბრამიშვილი

## იგივ ჩემია

თუნდ სხვისიც იყოს —
სიხარული იგივ ჩემია,
მიხარის, როცა გაბრწყინებულ
სახეებს ვუმზერ.
ხან სულ უცნობის დარდიც
ჩემად მიმიჩნევია,
და მხოლოდ ჩემთვის
ერთი დაღიც არ მაზის გულზე.
თუ კი შენ გიყვარს,
შენზე მეტად მე მეყვარება
მარტოსულიდან გადმოსული
მთრთოლვარე ხმები,
თუნდ სხვისიც იყოს —
ლექსი მაძლევს იმ ნეტარებას,
ურომლისოდაც,
მიკვირს,
როგორ ცოცხლობენ სხვები.

ეროვნული ბიბლიოთეკა



ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და
ბალეტის აკადემიური თეატრი. სცენა
ოპერიდან „აბესალომ და ეთერი"

# იუბილეს მიეძღვნა



შ. რუსთაველის სახელობის სახელმწიფო
აკადემიური თეატრი. სცენა სპექტაკლიდან „ხიდი"



„დონ კარლოსი" კ. მარჯანიშვილის
სახელობის სახელმწიფო აკადემიურ
თეატრში. სცენა სპექტაკლიდან.



ელენე ახვლედიანი — „იალაღებზე"



ეკატერინე ბაღდავაძე — „ქალიშვილის პორტრეტი"



ნუნუ ნიჟარაძე — „ქალის პორტრეტი"



თბილისი. საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის ახალი საკონცერტო დარბაზი.



სასტუმრო „აჭარა“



რესპუბლიკური კლინიკური საავადმყოფოს ახალი შენობა



სახელმწიფო უნივერსიტეტის ახალი კორპუსი

# იგი აღაფრთოვანებს მნახველებს

განსაკუთრებით ხალხმრავლობაა საბჭოთა საქართველოს იუბილეს დღეებში ავლაბრის იატაკქვეშა სტამბა-მუზეუმთან. ეს გასაგებიცაა, ამ სტამბამ ხომ თავის დროზე გარკვეული წვლილი შეიტანა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის ბრძოლაში.

ავლაბრის სტამბა შეიქმნა იმ დროს, როდესაც ვ. ი. ლენინის ხელმძღვანელობით რუსეთში საფუძველი ჩაეყარა რევოლუციურ-მარქსისტულ პარტიას.

დიდი ლენინი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევდა ამიერკავკასიის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციებს. მას სისტემატური მიმოწერა ჰქონდა რსდმპ კავკასიის კავშირის კომიტეტთან. ბელადის მითითებით კავკასიის კავშირის კომიტეტმა გადაწყვიტა ფართოდ გაეშალა არალეგალური ლიტერატურის გამოცემა და დაადგინა აეშენებინა იატაკქვეშა სტამბა თბილისში.

სტამბის მშენებლობის ორგანიზაცია დაევალა კომიტეტის წევრს მ. ბოჭორიძეს. მან სტამბისათვის ავლაბარში შეარჩია მიწის ნაკვეთი, რომელიც მის ამხანაგს როსტომაშვილს ეკუთვნოდა.

სახლის მშენებლობა დამთავრდა 1903 წლის ნოემბერში. სარდაფში მოეწყო სტამბა, ნახევარსარდაფში — სამზარეულო, სამზარეულოს თავზე კი ორი საცხოვრებელი ოთახი. სტამბაში საიდუმლო შესასვლელი ჭიდან იყო. მუშები თოკით ჩადიოდნენ ფარდულში მდებარე წყლიან ჭაში, წყლის ზედაპირიდან მეტრნახევრის ზემოთ გაყვანილი გვირაბით გადიოდნენ დახურულ მშრალ ჭაში, რომელშიც ჩადგმული იყო კიბე, ადიოდნენ ამ კიბეზე და პატარა გვირაბით შედიოდნენ სტამბაში.

სტამბის „დიასახლისი" იყო ბაბე ლაშაძე-ბოჭორიძე, ხოლო მბეჭდავები და ასოთამწყობები — გ. ლელაშვილი, ვ. წულაძე, ე. კალანდაძე, ტ. ვახტანგოვი, მაკარი და მანასე გოგუაძეები.

სტამბაში იბეჭდებოდა გაზეთი „პროლეტარიატის ბრძოლა", „პროლეტარიატის ბრძოლის ფურცელი", პროკლამაციები, მოწოდებები, ბროშურები და სხვ.

აქ დაიბეჭდა ვ. ი. ლენინის ბროშურები: „სოფლის ღარიბებს", „პროლეტარიატისა და გლეხობის რევოლუციური დემოკრატიული დიქტატურა", ფურცელი — „სამი კონსტიტუცია ანუ სამი წესი სახელმწიფო წყობილებისა" და სტატია — „ცნობა რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტიის III ყრილობის შესახებ".

აქვე დაისტამბა ი. ბ. სტალინის ბროშურები: „გაკვრით პარტიულ უთანხმოებაზე" და „ორი შეჯახება", პროკლამაციები: „კავკასიის მუშებო, დროა შური ვიძიოთ!" „კავკასიის მუშებს", „რა გამოირკვა?" და მრავალი სხვა. დაიბეჭდა აგრეთვე, პარტიის II ყრილობაზე მიღებული „რსდმპ პროგრამა", III ყრილობაზე მიღებული „პარტიის წესდება" და სხვა.

მეფის „ოხრანკა" დიდხანს დაეძებდა სტამბის ადგილსამყოფელს. მას 1906 წლის 15 აპრილს მიაგნეს და დაარბიეს.

1935 წლის 16 ნოემბერს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება ამ უნიკალური ძეგლის აღდგენის შესახებ. 1937 წლის 20 აგვისტოს საზეიმო ვითარებაში გაიხსნა ავლაბრის იატაკქვეშა სტამბა-მუზეუმი.

33 წლის მანძილზე მუზეუმი სამ მილიონზე მეტმა კაცმა დაათვალიერა.

აქ ხშირად იკრიბებიან რევოლუციის ვეტერანები, კომუნისტური პარტიისა და კომკავშირის ძველი წევრები. ისინი ესაუბრებიან ახალგაზრდებს ქართველ რევოლუციონერთა გმირულ ბრძოლებზე.

ამ ლეგენდარული სტამბის ეზოში იღებენ ახალგაზრდებს ლენინური კომკავშირის რიგებში, აქვე ხდება მოსწავლეთა მიღება ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერულ ორგანიზაციაში.

ყოველდღიურად სტამბა-მუზეუმს ათვალიერებს მრავალი ასეული ადამიანი, აქ მოდიან უცხოელი სტუმრებიც. აი როგორი ჩანაწერი დაგვიტოვეს ლათინური ამერიკის კომუნისტთა ჯგუფის წევრებმა: „ამ სტამბამ კარგი სამსახური გაუწია ქართველ ხალხს მის რევოლუციურ ბრძოლაში თავისუფლებისათვის.

ამჟამად იგი ბრძოლისათვის შთააგონებს მთელი მსოფლიოს პროგრესულ ადამიანებს, რომლებიც ცდილობენ, როგორც თავიანთი ქვეყნის, ისე მსოფლიოს ყველა ხალხების განთავისუფლებას იმპერიალიზმის მონობისაგან, ჩვენც, როგორც თავისუფლებისათვის მებრძოლები, პირობას ვიძლევით, რომ მივბაძავთ ამ სტამბის მაგალითს, იმ რევოლუციონერების მაგალითს, რომლებმაც დააარსეს იგი და მუშაობდნენ აქ".

ინდონეზიის კომუნისტთა დელეგაციამ კი შემდეგი ჩანაწერი გააკეთა: „...სტამბის აღდგენა მეტად საჭირო და სასარგებლო იყო ახალგაზრდა თაობის აღზრდისათვის. სტამბის გაცნობა ჩვენთვისაც ძალიან სასარგებლოა. აქ ჩვენ მივიღეთ ახალი გაკვეთილი, რომელსაც გამოვიყენებთ ინდონეზიის მშრომელთა რევოლუციურ-განმათავისუფლებელი ბრძოლისათვის".

სტამბის უდიდესი მნიშვნელობა აღნიშნა კანადის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ორგანიზაციულ საკითხებში დონ კარმა: „...თქვენი მუზეუმი შთააგონებს ყველა კომუნისტს, მათ, ვინც იბრძვის ჩაგვრის წინააღმდეგ, ახალი ცხოვრებისათვის. ეს აძლევს ყველა რევოლუციონერს პრაქტიკულ გაკვეთილს: იყოს თავის მუშაობაში გამჭრიახი, შრომისმოყვარე და მამაცი".

საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი ფ. ბიიუ წერს: „ასეთი ინიციატივის წყალობით მარქსისტულ მოძღვრებას დაეუფლნენ მასები და ამრიგად ლენინის ხელმძღვანელობით მომზადებულ იქნა სოციალისტური რევოლუცია".

მუზეუმის შთაბეჭდილებათა წიგნში ნახავთ კარლ მარქსის შვილიშვილის შვილის რობერ ჟან ლონგეს ჩანაწერს: „ამ არალეგალური სტამბის დათვალიერების შემდეგ ადამიანი ივსება აღფრთოვანებით, მას აკვირვებს სტამბაში მომუშავეთა მამაცობა, ძლიერი ნებისყოფა და რევოლუციონერთა გამჭრიახობა".

კანადის კომუნისტური პარტიის თავმჯდომარემ ტიმ ბაკმა შემდეგი ჩანაწერი დაგვიტოვა: „სტამბის ორიგინალური კონსტრუქციული გეგმა და ის დიდი შრომა, რასაც ეწეოდნენ მასში მომუშავენი, აღაფრთოვანებს ყველა კომუნისტს, და სიამაყის გრძნობით აღავსებდა იმ ბოლშევიკებს, რომლებიც იბრძოდნენ ცარიზმის რეაქციის წინააღმდეგ, რათა აეშენებინათ ისტორიული პარტია, რომელიც მიიყვანდა ხალხს დიდი ოქტომბრის რევოლუციის გამარჯვებამდე, სოციალიზმის აშენებამდე, ხალხთა განმათავისუფლებელ ომებამდე და კომუნიზმის მშენებლობამდე.

ჩვენ სიამაყის გრძნობით გავუზიარებთ ამ დიდ შთაბეჭდილებას კანადელ მშრომელებს.

დიდება ავლაბრის მიწისქვეშა არალეგალურ სტამბას, ბეჭდვითი სიტყვის ფაბრიკას!"

**დურმიშხან მესხი,**

ავლაბრის არალეგალური სტამბა-მუზეუმის გამგე.



სტამბის ხედი



ჭების მოწყობილობის სქემა

ეროვნული ბიბლიოთეკა



# დედა

ტყემლის ყვავილობისას ვენახე ფორეს დედა, იმ დროს, როცა მიწა თბება და ვაზი ტირის, როცა გლეხკაცს მინდვრად საქმე უჩნდება და მთელ დღეს გარეთ ატარებს.

დარბაზებს ჰგავს კოლმეურნეთა სახლები, აყვავებულ ბაღს — მათი კარმიდამო, სადაც მოულოდნელად გაიელვებს ხოლმე შავებში ჩაცმული ქალის სილუეტი, როგორც შემორჩენილი მწუხარება; ესენი შინმოუსვლელთა დედები არიან, დღემდე რომ გლოვობენ ომში დაღუპულ შვილებს.

ასეთი იქნება ფორეს დედაც: დათალხული, მხრებში მოხრილი, ჯავრისაგან დაპატარავებული, შვილის გზაზე ყურებით რომ ამოღამებია თვალები...

— ალბათ ძალიან მოტეხილია! — ვამბობ ჩემთვის და მეგზურიც მაშინვე მპასუხობს:

— არა, ნამდვილი ოთარაანთ ქვრივია.

...მანქანა სიღნაღის დახვეულ გზებზე ტრიალებს, ნახევარწრეებს ხაზავს და დაბლა ეშვება, მაჩხაანისკენ მიდის... უძველეს გალავანში ჩამჯდარი სიღნაღი დიდ ამფითეატრსა ჰგავს, ალაზნის ველი კი — დიდებულ არენას თავისი საკვირველი სანახაობით, რომელზეც ცივ-გომბორის მიზეზიანი მთა ხშირად დაუშვებს ხოლმე ნისლის ფარდას, რომ არ შეაჩვიოს კაცმა თვალი ბუნების ამ საოცარ სილამაზეს...

ნეტავ თუ მოასწრო ფორემ — 19 წლის ბიჭმა თავისი მიწა-წყლის — ამ მშვენების ხეირიანად აღქმა!

...გზიდანვე ჩანს ფორეს სახლი მაჩხაანში. დედა გარეთ დგას და გზას გასცქერის... საოცრად ჰგავს იგი უჩა ჯაფარიძის „დედას", ფიქრითა და ზრუნვით დამძიმებულს, მაგრამ ამაყსა და გაუტეხელს.

ჩვენს დანახვაზე აწრიალდა... შინ შეგვიპატიჟა. კიბის ქვედა საფეხურზე გაიხადა მოხუცმა ფეხსაცმელი და ძველ, გაკრიალებულ იატაკზე სუფთა, შავი ღაზლის წინდებით დადიოდა. გამოუთქმელი მოკრძალება ვიგრძენი ასეთი სიფაქიზისადმი და მორიდებით გადავაბიჯე ზღურბლს.

სკივრი, ძველებური კარადა, საწოლი, პატარა მაგიდა... ფორეს სურათი, ხატივით რომ ჰკიდია სანთლებისაგან შებოლილ კედელზე...

დედამ დაბალი, ხის სამფეხები შემოგვთავაზა. მოხუცი ძალიან ღელავს და, მეც ფორეზე კი არა, წარსულზე ველაპარაკები:

— ალბათ, გიჭირდათ ცხოვრება?

— რად გვიჭირდა, ხარები გვყავდა და გუთანი გვქონდა, ვცნავდით და ვთესავდით.

...თოთხმეტი წლისამ დაიდგა კისერზე ოჯახისა და დედობის მძიმე უღელი. შრომაში დაქალდა და დაბერდა. ქმარს ვაჟკაცივით ედგა მხარში შვიდი შვილის დედა. იმ სოფელში პირველად ისინი ჩაებნენ საკოლმეურნეო შრომაში. მაჩხაანში თებრო იყო პირველი ქალი, რომელმაც ფეხი შედგა პურის სამკალ მანქანაზე და თანასოფლელები გააოცა...

ომის დროს დაეღუპა ქმარი. სამი ვაჟი ჰყავდათ ფრონტზე გაგზავნილი მოსულიშვილებს, მეოთხე, ცამეტი წლის ვასო კი კოლმეურნეობის ცხვარსა მწყემსავდა; ვაჟკაცის მარჯვენა უჭირდა ქვეყანას...

— მკვდარი ქმარი წინ მედო და სოფელში კაცი არ იყო, რომ საკლავისთვის მიეხედნა, — იგონებს მოხუცი.

უფრო გაყოჩაღდა მარტოდ დარჩენილი ქვრივი — მოჰყავდა და იღებდა ჭირნახულს, ვაჟკაცურად ედგა მტერსა და მოყვარეს.

...ცის ქვეშ უთენდებოდა და უღამდებოდა ბრიგადირს, კოლმეურნეობისა და სოფლის იმედს... თებროსთანებმა შეუნახეს ჩვენს ქვეყანას ომის დროს ზურგი.

დიდი ხანია მოშუშდა ომის ჭრილობები. ცხოვრება თავის კალაპოტში ჩადგა. დედა კი 30 წელი ელოდა შვილს, ვიდრე 1970 წლის 5 ოქტომბერს რადიომ არ აუწყა ქვეყანას ფორე მოსულიშვილის ლეგენდარული გმირობის ამბავი.

მაშინ კი მოტყდა თებრო, დაკარგა შრომის ხალისი.

— შარშანდლამდე ჩემი ხელით ვაკეთებდი ვენახს, — ამბობს ოთხმოც წელს მიღწეული დედა, — ფულს ვაგროვებდი, ვფიქრობდი, ბიჭი მოვა და სახლს აიშენებს-მეთქი... — სიცოცხლეს რა შეედრება, მაგრამ, თუ სიკვდილი ეწერა, ჩემი შვილი სწორედ ასე უნდა მომკვდარიყო...

დედა ჩუმდება და ისე უთრთის ნიკაპი, რომ თვალს ვერ ვუსწორებ...

იისფერი ბინდი ჩამოწვა მთებზე. შეუმჩნევლად შემოიპარა ღამე. მინდვრებიდან დაბრუნდა ნაჯაფარი ხალხი. სახლში მოვიდნენ ფორეს ძმებიც: ალალმართალი, დარბაისელი გლეხი გიორგი და სამამულო ომის მონაწილე — ლენინგრადის დამცველი ზაქრო, რომელთაც იქვე, დედასთან ახლოს უდგათ მშვენიერი სახლები და გლეხკაცის მშვიდი ცხოვრებით ცხოვრობენ.

ხუთი შვილი, თერთმეტი შვილიშვილი და ცხრა შვილთაშვილი ჰყავს თებროს და, ვისთან უნდა მივიდეს მოხუცი, რომ ფიანდაზად არ გაეშალონ, მაგრამ საკუთარ კერას მაინც არ ტოვებს დედა.

ძმები არ მოგვეშვნენ, თავისთან მიგვიწვიეს... გაიხსენეს ომის ამბები და ფორეს ყმაწვილობის დროინდელი ოინები, ყმაწვილობის დროინდელი, თორემ დავაჟკაცება სად დასცალდა, უწვერულვაშო ბიჭი წავიდა ჯარში და ომმაც იქ მოუსწრო, წერილიც არ მოუწერია, ისე დაიკარგა უგზო-უკვლოდ.

ის რომ იტალიის ეროვნული გმირია, — დღეს მთელმა ჩვენმა ქვეყანამ იცის, იცის, რომ 1944 წელს ჩაუვარდა ტყვედ გერმანელებს, გაქცევა მოახერხა და ჩრდილოეთ იტალიაში მებრძოლ პარტიზანებს შეუერთდა, რომ არაჩვეულებრივი გმირობა გამოიჩინა ფაშისტების წინააღმდეგ ბრძოლაში და სიკვდილის შემდეგ დაჯილდოებულ იქნა იტალიის რესპუბლიკის უმაღლესი ჯილდოთი — ოქროს მედლით „მხედრული მამაცობისთვის".

მაგრამ როგორი იყო თვითონ?

ძმამ თქვა:

— რა ვიცი, ბალღი იყო, დაუდეგარი...

რძალმა თქვა:

— რთველობისას ხარებს ყურძნის მტევნებით ურთავდა ხოლმე რქებს...

დედამ თქვა:

— გიჟივით უყვარდა ცხენის ჭენება... ხშირად სახლშიც კი შემოსულა თავის საყვარელ ქურანზე ამხედრებული...

წამოსვლისას, თებრომ ჩვენებურად დამლოცა: კარგი ბედი და იღბალი მოგცეს ღმერთმაო.

სწორედ ასეთ დედას უნდა გაეზარდა ფორე!

**ნინო ახალკაცი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩეხოსლოვაკიის საპატიო მოქალაქე

ილიკო ქურხულის ოჯახი ბულგარეთში ცხოვრობდა, როცა შვილი შეეძინათ.

სოფიაში გაატარა ტარიელმა ბავშვობის წლები, თბილისში დავაჟკაცდა, თუმცა როდი დასცალდა დავაჟკაცება...

ჩეხოსლოვაკიის ქალაქ დოლნი ბერეშოვში 1945 წელს გმირულად დაიღუპა 22 წლის ლეიტენანტი ტარიელ ქურხული. გულწრფელად დაიტირა მამაცმა ჩეხმა ხალხმა ქართველი ვაჟკაცი.

სამი წელი პირქვედამხობილი გლოვობდა დედა ერთადერთ იმედს, დღე და ღამე ტანთგაუხდელი იჯდა, ეალერსებოდა სამკუთხა ბარათებს, კედელზე შვილის ხელით ჩამოკიდებულ ვიოლინოს. კედლიდან უღიმოდა დედას პილოტური ქუდის ქვემოდან შვილის ლამაზი სახე...

სამუდამოდ მიყუჩდა ქურხულის ბინა, აღარ ისმოდა მხიარული მელოდიები, დადუმდა ჭერი, ჩაქრა სიცოცხლის ლამპარი.

დიდმა მწუხარებამ გაქვავება და დამუნჯება იცისო, ნათქვამია. ცრემლი გაუშრა ქალს.

ახლა აღარ გოდებს წარამარა დედა. მხოლოდ ერთთავად გვიამბობს იმ დიდ ყურადღებასა და პატივისცემაზე, რომელსაც მისდამი იჩენენ ჩეხოსლოვაკიაში.

პირველად 1961 წელს ჩავიდა ნინო მათიაშვილი ქალაქ გლუჩინში შვილის საფლავის სანახავად.

სამი დღე ეალერსებოდა დედა თექვსმეტი წლის უნახავი შვილის საფლავს, ეფერებოდა ცივ ქვაზე ამოტვიფრულ წარწერას, მერე სურათი ჩაასმევინა ქვაში.

უამრავი მეგობარი და ახლობელი ადამიანი შეიძინა ნინომ იმ პირველსავე წელს უცხო მიწაზე. მეორე წელს იგი ჩეხოსლოვაკიის საპატიო მოქალაქედ აღიარეს როგორც ქართველი და ჩეხი ხალხის მეგობრობის განმტკიცებისათვის მებრძოლი, და იქაური პასპორტი ჩააბარეს. გულთბილი მიწერმოწერა აქვს იქაურ ადამიანებთან, ოსტრავისა და ოპავის საქალაქო ეროვნული კომიტეტების მდივნებთან, მოსწავლე ახალგაზრდობასთან. ამანათები მიდის ჩეხოსლოვაკიაში საქართველოდან, ამანათები მოდის საქართველოში ჩეხოსლოვაკიის სხვადასხვა ქალაქებიდან... ნინო ჩეხ მეგობრებს უგზავნის ქართულ სუვენირებს, ჭედური ხელოვნების ნიმუშებს, დამაქრულ ხილს, ჩურჩხელებს... ყველაფერი მათთვის უნდა და ემეტება, ვინც ასე სათუთად უვლის მისი შვილის საფლავს, სამარადისოდ ინახავს მის სახელს. ზამთარ-ზაფხულ ყვავილებითაა მოფენილი საფლავი. აქ განსაკუთრებით ხალხმრავლობაა გმირის დაბადების დღეს, 21 მარტს. მოდიან ადამიანები, რათა ვალი მოიხადონ მისი ხსოვნის წინაშე. მერე სწერენ ბარათებს დედას, იღებენ სამახსოვრო სურათებს.



მუზეუმს წააგავს ნინო მათიაშვილის ბინა: სამახსოვრო წიგნები ჩეხოსლოვაკიიდან, სუვენირები, ლარნაკები, ამონაჭრები ჩეხური ჟურნალ-გაზეთებიდან...

დედა ჩეხ მეგობრებს უყვება საქართველოს, მისი ხალხის, მისი კულტურისა და ყოფაცხოვრების ამბებს, მისი მეუღლის, მოხეტიალე მუსიკოსის ილიკო ქურხულის შესახებ, უამბობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტზე, სადაც ანტიკურ ლიტერატურას უკითხავს დოცენტი ქალი ფილოლოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს. მისმა სტუდენტებმა იციან, რომ მათი ლექტორი საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის მეგობრობის საზოგადოების წევრია, რომ ნინომ ამ მეგობრობისათვის ერთხელ ხუთასი კრონი გაიღო, მეორედ ძვირფასი ოქროს საათი თავისივე სამაჯურით. ამ ფაქტმა ორივეჯერ დიდი გამოხმაურება ჰპოვა ჩეხოსლოვაკიაში.



ნინო მათიაშვილი (ცენტრში) ჩეხ მეგობრებთან

ნინოს მიღებული აქვს ორი მედალი: ერთი ფაშისტური გერმანიის ბატონობის უღლისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 25-ე წლისთავის აღსანიშნავად, მეორეც — ჩეხოსლოვაკია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის განმტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის.

ნინოს არასოდეს დაავიწყდება ის დღე, როცა ქალაქ ოპავის ეროვნული კომიტეტის მდივანმა იან ჟიდეკმა ყელსაბამი გაუკეთა და სთხოვა: არასოდეს მოიცილოთ, ეს ჩვენი მეგობრობის სიმბოლური ნიშანიაო.

გაემგზავრება ნინო ჩეხოსლოვაკიაში, დაბრუნდება უკან და კვლავ იქითკენ მიუწევს გული, იმ ადამიანებთან შეხვედრას ეშურება, რომლებიც უვლიან მისი შვილის საფლავს.

ნანული ბუკია



ბროლის მხარშავი ილია ზანთარია



მეალმასე დარეჯან სიხარულიძე





# მათ მინის პოემებს ეძახიან



ეროვნული ბიბლიოთეკა

მუდამ შენსკენ მოგვიხარია, მართლაც და სავარდო და სამასო — ჩვენო ქუთაისო. საოცრად გვიყვარს შენი დიდებული წარსული, შენი სათაფლია, გელათი და ბაგრატის ტაძარი, რომელიც უქიმერიონიდან გადმოსცქერის უძველეს ქალაქს. კიდევ უფრო გვიყვარს შენი ბრწყინვალე მომავალი. ყოველდღე იზრდები და ლამაზდები მრავალსართულიანი, ახლადნაგები საცხოვრებელი სახლებით, ახალი საწარმოდაწესებულებებით, კინო-თეატრებით, მოასფალტებული განიერი ქუჩებით...

კეთილი შრომით ბევრჯერ ისახელეთ თავი ქუთათურებმა. ვინ არ იცნობს ქუთაისურ ავტომანქანებს, მურაბებს, კომპოტებს, კონსერვებს, ლამაზად გამოყვანილ კაბებს, კოხტად შეკერილ ფეხსაცმელს, მაგრამ, იქნებ, ბევრმა არ იცის ქუთაისლები ბროლის ოსტატებიც რომ არიან, რომ ქუთაისიდან მოდის ლამაზი, მიმზიდველი ქართული ბროლი, რომელსაც მინის ტარის ქარხანა ამზადებს. ამ ქარხანაზე ბევრი კარგი რამ გაგვიგონია, ამიტომ მოვედით აქ.

მინის ტარის ქარხნის დირექტორი სიმონ ჭანკოტაძე საოცრად სიტყვაძუნწი კაცი გამოდგა. ათჯერ მაინც ვთხოვეთ ქარხნის შესახებ რაიმე ეამბნა, ათჯერვე ერთი და იგივე გვიპასუხა:

ჯერ საამქროები დავათვალიეროთო.

რა ძალა გვქონდა, გავყევით. რომელ საამქროშიც არ შევედით, ყველგან ადამიანთა შრომის ზეიმია. აგუგუნებული ღუმელებიდან ჩანჩქერივით მოდის მინის მასა და იღვრება ყალიბებში. კონვეიერებზე სხვადასხვა მოცულობის მინის ქილების ტევა არ არის. სიმონი კმაყოფილების ღიმილს ვერ ფარავს, მაგრამ, ეტყობა, თავის ქარხნის მიღწევებზე ლაპარაკი უჭირს. მოგვიახლოვდა ცენტრალური ლაბორატორიის გამგე გიორგი მელიავა. არც გიორგი იყო დიდი მოსაუბრე, მაგრამ, მაინც...

მინის ტარის ქარხანას არც თუ ისე დიდი ისტორია აქვს, იგი 1954 წელს ამუშავდა. იმავე წელსვე ქარხანამ 10,8 მილიონი მინის ქილა დაამზადა.

გავიდა დრო, უფრო გაფართოვდა ქარხანა, მწყობრში ჩადგა ახალი ტექნიკა, მანქანა-დანადგარები, გაიზარდა კადრები და საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების მე-40 წლისთავზე ქარხნის კოლექტივის ინიციატივით ქარხანას ერთი ახალი საამქრო — ბროლის საამქრო შეემატა, რომლის ხელმძღვანელობა ნინო შათირიშვილს დაავალეს.

ვათვალიერებთ ბროლის საამქროს და ვფიქრობთ, რა დიდი ოსტატობა, ცოდნა და გამოცდილებაა საჭირო, რომ შექმნა ასეთი შესანიშნავი, ლამაზი ნაწარმი. ბროლის ამომუშავების უბნის ოსტატი ზინაიდა ნიკოლაიშვილი თითქოს ჩვენს ფიქრს მიწვდა, გულღიად გაიღიმა და გვითხრა:

— როგორც პოეტები უძღვნიან ლექსს სულს, ასევე ბროლის საამქროს კოლექტივი ბროლის სულის ჩამდგმელია.

მართლაცდა, მხატვრული გემოვნებაა საჭირო, რომ კვარცის სილისაგან დაამზადო ისეთი ნაწარმი, რომელიც თვალს ახარებს და ყოველი ჩვენგანის მაგიდას ამშვენებს. კვარცის სილა ხომ მხოლოდ სითეთრით განსხვავდება სხვა სილისაგან, ამიტომ დაინტერესდით, ზინაიდას ვთხოვეთ დაწვრილებით ეამბნა ბროლის დამზადების შესახებ და ყველა პროცედურა ეჩვენებინა ჩვენთვის.

— კვარცის სილა, როგორც წესი, დახურულ შენობაში ინახება, მოხმარების წინ მას მუშები რეცხავენ. მაღალ ტემპერატურაზე აშრობენ, მშრალ სილას მაგნიტურ სეპარატორში ატარებენ, რათა გამოაცალონ რკინის ჟანგი, რის შემდეგ სილა და ყველა მისი შენაერთი მასალა იცრება № 10-11 საცერში, როცა ამ საქმეს მოვრჩებით, ინჟინერ-ქიმიკოსი გულჩორა ხვიჩია კალაქვის (პოტაშის) სინჯს იღებს, ლაბორატორიაში სწრაფად განსაზღვრავს მის ტუტიანობას და კორექტირებულ რეცეპტს გვაძლევს. რეცეპტის მიღების შემდეგ ვიწყებთ მოსახარში მასალის განზავებას. ეს პროცედურა უკვე ჩატარებული გვაქვს და დანარჩენი თქვენი თვალით ნახეთო, — გვითხრა ზინაიდამ და წინ გაგვიძღვა. ნათელა ცქიფურიშვილმა, ლალი ყიფიანმა და სხვებმა სილა ხის გრძელ ყუთებში ჩაყარეს, წყლით დანამეს, მერე სილას ფენებად ტყვიის (სურინჯის) თუთიის ჟანგი, ბორის სიმჟავე, კალიუმის გვარჯილა, კალაქვა დააყარეს, ერთმანეთში კარგად აურიეს. ბროლის გასაუფერულებლად შემზადებულ მასალას მცირე რაოდენობით დარიშხანის სამჟანგი, ნიკელისა და კობალტის ჟანგები დაუმატეს და № 6 საცერში გაცრეს, გამზადებული კაზმი და ბროლის ლეწი თანაბარი რაოდენობით ცეცხლგამძლე ქოთნებში მოათავსეს. ღუმელის ტემპერატურამ თანდათან აიწია და როცა 1450 გრადუსს მიაღწია, აგუგუნდა ღუმელები, წითლად აიქოჩრა მინის ლავა. ღუმელთან ოფლში გაღვრილი, მხარბეჭიანი ვაჟკაცები: შაქრო დანგაძე, რუბენ ბერიძე, ილია ზანთარია, რუბენ სოფრომაძე დატრიალდნენ, ლავას ქაფი მოხადეს. როცა დარწმუნდნენ, დუღილი საკმარისი იყო, ტემპერატურა შეანელეს. რკინის მილებით ამოიღეს ბროლის მინის მასა, რომელიც ასორტიმენტის მიხედვით შესაბამის ყალიბში ჩაუშვეს და ნელნელა ჩაბერეს. თვალისდახამხამებაში უკვე მზად იყო ღვინის ჭიქები და ლარნაკები. მაგრამ ახლა იგი საწრთობ ღუმელში (ლერში) შეაწყვეს. ბროლის წრთობას დაახლოებით ორი საათი სჭირდება. გამოწრთობილ ბროლს მეალმასეებმა ხუფები და ზედმეტი ნარჩენები მოაჭრეს და ნაწარმი ბროლის დამუშავების უბანში გაგზავნეს.

ბროლის დამუშავების უბნის ოსტატმა ელეონორა ლატარიამ მუშებს გამზადებული ნახაზები დაურიგა. ეს ნახაზები განსაზღვრავს ბროლის ნაწარმზე ამათუიმ სურათის ძირითად კონტურებს. მოწინავე მუშამ მედიკო გელაშვილმა და მისმა მეგობრებმა ნახაზი მთელი სიზუსტით გადაიტანეს და ოდნავ დაამჩნიეს ბროლის ნაწარმს. მერე აბზრიალდა ზუმფარას ქვებიანი მანქანა „საგი", სულ მალე მაგიდაზე დაირაზმნენ გემოვნებით მოჩუქურთმებული ლარნაკები, სხვადასხვა ზომისა და ფორმის ღვინის ჭიქები.

ვიფიქრე, ბროლის ნაწარმი უკვე მზად არის-მეთქი, მაგრამ არა. იგი ახლა ქიმიურ გაპრიალებას მოითხოვსო, გვითხრეს. მართლაც, როცა ბროლის ნაწარმი ფტორწყალბადისა და გოგირდმჟავას ნარევით გარეცხეს და ბროლის დამხარისხებელ უბანში ოლია ვარდანიძესთან შევიარეთ, მზესავით შემოგვანათა ათასფრად მოელვარე ბროლმა.

ახლა კი მივხვდით, თუ რატომ ეძახიან ქუთაისლები ბროლის საამქროს მშრომელებს „მინის პოეტებს".

ოლია რევია



მეალმასე ლილი ბიძიშვილი



ბროლის მხარშავი იაშა კანდელაკი

ეროვნული ბიბლიოთეკა

# „ნონას შეუძლია მშვიდად იყოს"

მორიგი მატჩი მსოფლიო პირველობაზე ქალთა შორის 1972 წელს გაიმართება. მანამდე ნონა გაფრინდაშვილს შეუძლია მშვიდად იყოს. ჯერჯერობით იგი ფხიზლად ადევნებს თვალს შესაძლებელი მეტოქეების ბრძოლას. მაინც ვინ იქნება ეს მეტოქე?

ახლა ბრძოლა მსოფლიო პირველობისათვის ქალთა შორის კიდევ უფრო გართულდა. მას ახალი საფეხური დაემატა — საზონათაშორისო ტურნირი. ამ შეჯიბრებაში გამარჯვებულ სამ ოსტატს შეუერთდება მეოთხე — მსოფლიო ჩემპიონობის ყოფილი პრეტენდენტი ალა კუშნირი. 1971 წლის მიწურულისათვის 4 შესაძლებელი მეტოქიდან მსოფლიო ჩემპიონობის ერთი, ოფიციალური პრეტენდენტიღა დარჩება. მაგრამ რამდენი ღელვა მოელით მანამდე ჭადრაკის გულშემატკივრებს!

ზოგი რამ, ცხადია, ახლავე ნათელია. საბჭოთა კავშირიდან საზონათშორისო ტურნირში ბრძოლას გააგრძელებენ ნანა ალექსანდრია, ელენე რუბცოვა, ნატალია კონოპლიოვა, ტატიანა ზატულოვსკაია, ვალენტინა კოზლოვსკაია... უცხოეთის № 1 მოჭადრაკეს, გამოჩენილ რუმინელ ოსტატ ალექსანდრა ნიკოლაუს კი არა აქვს ეს უფლება. რატომ?

როდესაც ჩვენ თბილისისა და გორის ტრადიციულ საერთაშორისო ტურნირში ალექსანდრა ნიკოლაუს შევხვდით, სწორედ ეს კითხვა დავუსვით.

— საქმე ისაა, რომ როდესაც რუმინეთის ჩემპიონატი ტარდებოდა, მე საზღვარგარეთ მივლინებაში გახლდით, და ვერ შევძელი მასში მონაწილეობის მიღება. ამან კი თავის მხრივ ის გამოიწვია, რომ ზონალურ ტურნირში მონაწილეობის უფლება დავკარგე. რა გაეწყობა! ახლა კიდევ სამი წელი უნდა ვიცადო, სანამ მსოფლიო ჩემპიონატის ახალი ციკლი დაიწყება.

**— გასაგებია ის სპორტული „სიავე", რომელიც თქვენ თბილისსა და გორში გამოავლინეთ. პირველი პრიზიც სრულიად დამსახურებულად დაგრჩათ. თუ შეიძლება, „მრისხანებისა და მიკერძოების გარეშე" (როგორც რომაელი ისტორიკოსი ტაციტუსი იტყოდა ხოლმე) ილაპარაკეთ საკითხზე, ვინ შეიძლება გახდეს ნონას მეტოქე?**

— სხვათა შორის, ამ კითხვას მე მრავალ ქვეყანაში მაძლევენ. ქალთა ჭადრაკი უალოესად პოპულარული გახდა და, ჩემის აზრით, შორს არაა ის დრო, როდესაც ამ სფეროში მამაკაცებს ტოლს არ დავუდებთ. ხომ ნახეთ, როგორი ინტერესი გამოიწვია თბილისისა და გორის საერთაშორისო ტურნირმა. დაახლოებით იგივე ხდება რუმინეთში (სადაც ჩვენ ყოველწლიურად ვატარებთ ქალთა საერთაშორისო ტურნირებს), იუგოსლავიაში, ჰოლანდიაში. ჩემის აზრით, ნონას მეტოქე მხოლოდ საბჭოთა მოჭადრაკეების რიგებში უნდა ვეძიოთ.

**— რატომ?**

— საზღვარგარეთელ ოსტატებს კარგად ვიცნობ და ძლიერ მეეჭვება, რომ რომელიმე მათგანს შეეძლოს პრეტენდენტთა ოთხეულში გასვლა. იუგოსლაველ ტერეზა შტადლერის წარმატება პრეტენდენტთა უკანასკნელ ტურნირში სრულიად შემთხვევითი იყო. როდესაც მას უძლიერეს მეტოქეებთან მოუხდა შეხვედრა, მაშინვე ფარხმალი დაჰყარა.

**— ლაზარევიჩი?**

— ლაზარევიჩი ის აღარაა, რაც 6-7 წლის წინ იყო. მას რომ 1964 წელს სოხუმში ნონასთან შეხვედრის უფლება მოეხვეჭა, არაფერი იქნებოდა გასაკვირი. გახსოვთ, მაშინ მილუნკა ლაზარევიჩს „ქალთა ტალს" უწოდებდნენ. მაგრამ შემდეგ ლაზარევიჩის ფორმა მკვეთრად გაუარესდა. ახლა იგი ბევრს ავადმყოფობს, ზოგჯერ წარმატებით თამაშობს, უფრო ხშირად კი — წარუმატებლად. ერთი სიტყვით, თუმცა მილუნკას საზონათშორისო ტურნირში გამსვლის უფლება აქვს, მაინც ძლიერ მეეჭვება, რომ იგი პირველ ექვსეულში გავიდეს.

**— მაშ ასე, ერთ-ერთი საბჭოთა მოჭადრაკის გამარჯვებას ელით. მაინც რომელის?**

— შესაძლოა, ეს იყოს ნანა ალექსანდრია.

**— მან ხომ მარცხიანად ითამაშა თბილისსა და გორში?**

— ამას არა აქვს არსებითი მნიშვნელობა. ნუ დაგავიწყდებათ, რომ ნანა სამჯერ გახდა სსრ კავშირის ჩემპიონი, გაიმარჯვა სამ დიდ საერთაშორისო ტურნირში — თბილისში, ბელგრადსა და ბევერვიიკში. 17 წლისა იგი პრეტენდენტების ტურნირის მონაწილე იყო. ახლა 21 წლისაა. ვის ჰქონია ამ ასაკში ესოდენი წარმატება?

თბილის-გორის საერთაშორისო ტურნირში ნანას მარცხი შემთხვევითი რომ იყო და ავადმყოფობით აიხსნებოდა, ეს ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის მეორე გათამაშებამაც დაადასტურა. ამ უძნელეს შეჯიბრებაში ნანამ ბრწყინვალე გამარჯვება იზეიმა. თასს დაეუფლა, ერთხელ კიდევ დაადასტურა, რომ მსოფლიო პირველობის ერთ-ერთი უახლოესი პრეტენდენტია.

ნანასთან ერთად ნონა გაფრინდაშვილთან შეხვედრის (მესამედს) შესაძლებლობას ინარჩუნებს ალა კუშნირი. მაშინ, როდესაც სხვა ოსტატებმა ბრძოლა ჯერ ეროვნულ ჩემპიონატში დაიწყეს, შემდეგ ზონალურ ტურნირში გააგრძელეს და ახლა საზონათშორისო ასპარეზობაში მონაწილეობა მოელით, კუშნირი ყველა ამ შეჯიბრებიდან თავისუფალი იყო. ეს იმას ნიშნავს, რომ ნერვიული ენერგია მას შემონახული აქვს.

**— რას იტყვით დანარჩენ საბჭოთა მოჭადრაკეებზე?**

— მათ ნაკლები შანსები აქვთ, ვიდრე ნანას ან ალას. მე ძალიან მომწონს ელენე რუბცოვას თამაში, მაგრამ მისთვის ჯერჯერობით ადრეა მსოფლიო ჩემპიონთან შეხვედრა. იგივე ითქმის ნატალია კონოპლიოვაზე. ვალენტინა კოზლოვსკაიას, უბრალოდ, „კლასი არ ეყოფა".

**— მაგრამ ტატიანა ზატულოვსკაიას ხომ კლასიც აქვს და გამოცდილებაც?**

— დიახ, ეს ასეა. ადრე ნონას ჩემთვის არაერთხელ უთქვამს, რომ ტატიანა ზატულოვსკაია სერიოზულ პრეტენდენტად მიაჩნია. მაგრამ ზატულოვსკაია ვერაფერს გახდა 1964 წელს, ჩამორჩა 1967 წელსაც, ორივე შემთხვევაში მას ერთი ნაბიჯით ასწრებდა კუშნირი, ამიტომ ძლიერ საეჭვოა, რომ „ბაქოელმა ციხე-სიმაგრემ" (ასე უწოდებენ მოჭადრაკეთა წრეებში ტ. ზატულოვსკაიას) წარმატებას მიაღწიოს ამ ციკლში, ვფიქრობ, მან უკვე „გადააბიჯა" თავის ზენიტს.

**— ერთი ბოლო კითხვაც: რა შესაძლებლობა ექნება მომავალ პრეტენდენტს ნონა გაფრინდაშვილთან ბრძოლაში?**

— გულახდილად გეტყვით, მე არ მინდოდა იმ პრეტენდენტის მდგომარეობაში ვყოფილიყავი. ნონა უკვე 10 წელია ინარჩუნებს საუცხოო ფორმას და, ჩემის აზრით, ნებისმიერ პრეტენდენტს დაამარცხებს, ასე რომ, შეუძლია მშვიდად იყოს!

**ბიბი ბამრეკელი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

გავაუმჯობესოთ მშრომელთა სოციალური დაზღვევა და საპენსიო უზრუნველყოფა, გავუდიდოთ მოხუცებულობის გამო პენსიების მინიმალური ოდენობა მუშებს, მოსამსახურეებსა და კოლმეურნეებს, გავავრცელოთ კოლმეურნეობათა წევრებზე პენსიების გაანგარიშების წესი, რაც დადგენილია სოფლად მუდმივად მცხოვრები და სოფლის მეურნეობასთან დაკავშირებული მუშებისა და მოსამსახურეებისათვის. შევქმნათ პირობები, რათა ფართოდ ჩავაბათ შრომით საქმიანობაში შრომისუნარიანი პენსიონერები. გავადიდოთ ინვალიდობის და მარჩენალის დაკარგვის გამო პენსიების ოდენობა.

სკკპ XXIV ყრილობის
დირექტივებიდან

# მეცხრე ხუთწლედი მოქმედებაში







# მეცხრე ხუთწლედი მოქმედებაში













საქართველოს სს რესპუბლიკაში გავადიდოთ სამრეწველო პროდუქციის წარმოების მოცულობა 39-42 პროცენტით, ამასთან უფრო სწრაფი ტემპებით განვავითაროთ მანქანათმშენებლობის არალითონტევადი დარგები და ქიმიური მრეწველობა.

უზრუნველვყოთ ელექტროენერგიის წარმოების გადიდება 1,7-ჯერ, მინერალური სასუქებისა — 2,3-ჯერ, ქიმიური ბოჭკოებისა — 1,6-ჯერ, ხელსაწყოების და ავტომატიზაციის საშუალებებისა — 3,4-ჯერ, სასოფლო-სამეურნეო მანქანებისა — 2,3-ჯერ, შიფერისა — 2-ჯერ, შალის ქსოვილებისა — 1,5-ჯერ, ხილ-ბოსტნეულის კონსერვებისა — 1,4-ჯერ და ავეჯისა — 2-ჯერ.

ავამოქმედოთ ენგურის ჰიდროელექტროსადგურის სიმძლავრეები და ვარციხის ჰიდროელექტროსადგურების კასკადის პირველი ელექტროსადგური, დავიწყოთ ჟინვალის ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობა. დავამთავროთ მადნეულის სპილენძგამამდიდრებელი კომბინატის მშენებლობა. ავაშენოთ ფაიფურ-ქაშანურის ქარხანა, გავადიდოთ მსუბუქი და კვების მრეწველობის საწარმოთა სიმძლავრეები.

გავადიდოთ 1975 წლისათვის ჩაის წარმოება 285 ათას ტონამდე, აგრეთვე გავზარდოთ ყურძნის, თამბაქოსა და ციტრუსოვანთა წარმოება. საექსპლოატაციოდ გადავცეთ 70 ათასი ჰექტარი სარწყავი მიწები, დავაშროთ 50 ათასი ჰექტარი გადამეტტენიანებული მიწები, უმთავრესად მრავალწლიანი სუბტროპიკული კულტურების გასაშენებლად. გავადიდოთ ხორცის, რძის, კვერცხის წარმოება; განვამტკიცოთ მეცხოველეობის საკვები ბაზა.

სკკპ XXIV ყრილობის
დირექტივებიდან

# დიდება დედას

დაილოცოს შენი კალთა, დედა! რაოდენ უსაზღვრო და დიადი ხარ შენ, რაოდენ ძლიერი, ფესვმყარი და ხელბარაქიანი! შენი სახელი ცნობილია ყველასათვის, შენი გმირობა — უკვდავი და განუმეორებელია!

დაილოცოს შენი ქალობა, დედა! ნეტავ, საიდან გაქვს ამდენი სიყვარული, ამდენი სითბო! შენ ცხოვრების სუნთქვა ხარ, შეუწყვეტელი სიმღერა ხარ, დედა!

მე როგორც შენს შვილსა და აღზრდილს, მიხარია, როცა ვხედავ როგორ ლაღად იზრდება და იფოთლება შენი სამამულე რქა.

ჩვენ ვამაყობთ შენით, ვენერა ცქიტიშვილო! ჩვენ, რომელთაც ვნახეთ შენი ეზო და სახლი, შენი კოდი და საბძელ-მარანი, შენი მოუშორებელი ღიმილი, მაგრამ ყველაზე მეტად თქვენს ხარატულა აკვანზე დაგვრჩა თვალი.

ბედნიერი ხარ, დედა! ათ მერცხალს რომ უზრდი სამშობლოს. ძლიერი და ამაყი ხარ! თაობებს მოუწევთ გაეცნონ და შეისწავლონ შენი ცხოვრების დიადი წიგნი.

რამდენი ჯაფა, რამდენი თვალი და ყური, რამდენი ხელი უნდა ათი შვილის აღზრდას! შენ კი მაგ სუსტი ხელებით ესათუთები ყველას, უცხობ და უკერავ, ურეცხავ და ბალიშს უსწორებ... შენ მაგ სუსტი ხელებით თესავ და იმკი, ჩაის კრეფ და აბრეშუმის ქიას აპურებ... ეგ ხელები დაუშრეტელი წყაროა ზრდისა და ბარაქისა, სიკეთისა და ხალისისა.

შენი ცხოვრება ჩვეულებრივი და უბრალოა შენთვის, სხვებისთვის კი უჩვეულო და სამაგალითო. შენ სოფელ გაგურში დაბადებულხარ 1930 წელს, ექვსი და-ძმის მეცალეს აკეთის საშუალო სკოლა დაგიმთავრებია და კოლმეურნეობაში დაგიწყია მუშაობა. თავდადებულმა შრომამ სახელი გაგითქვა, მეზობელ სოფელსაც მიწვდენია შენი ქება და... იქაურს — ზურაბ ცქიტიშვილს ჩავარდნიხარ გულში... ერთად დაგიწყიათ ცხოვრება, ტკბილი და უხმაურო ოჯახი შეგიქმნიათ. გამრჯე ახალგაზრდებმა ერთიანი ძალით დაამარცხეთ სიღარიბე, ააშენეთ ორსართულიანი სახლი, ამრავლეთ წლის სარჩო-საბადებელი, დაარწიეთ აკვნები...

დღეს თქვენს ჰერქვეშ სიხარულში იწურება ყოველი დღე და წყალიც კი სიამით ისმება. შვილების სიმრავლე ძალასა და ენერგიას გმატებთ, სიხარულს გიორკეცებთ. შარშან თქვენმა ოჯახმა ქვემოაკეთის კოლმეურნეობიდან 1.100 მანეთზე მეტი მიიღო, ამასთან 3 ტონა სიმინდის მარცვალი გერგოთ. მარტო შენ, ათი შვილის დედამ, გაპიროვნებული 0,3 ჰექტარი პლანტაციიდან 1 800 კილოგრამი ფოთოლი მოკრიფე, შენმა ქმარმა კი 8 ტონა სიმინდი მოიწია.

ჩვენ იმ დროს გეწვიეთ, როცა შვილებთან ერთად პლანტაციაში იყავით. გვეამა საგანგებოდ მოვლილი პლანტაციის ნახვა. თქვენთან ერთად საქმიანობდნენ მეცხრეკლასელი ნათელა, მეექვსეკლასელი ციცინო, მეორე კლასელი მერაბი, აქვე იყვნენ შვიდი წლის თამარი, ოთხი წლის ლალი, სამი წლის გოჩა... დანარჩენები, ერთი საზღვაო ტექნიკუმდამთავრებული — როინი ბათუმში მუშაობს, ორი — მაყვალა და ბესარიონი — მახარაძის რაიონის ნასაკირალის ჩაის საბჭოთა მეურნეობის საშუალო სკოლაში სწავლობენ, ყველაზე უმცროსს — ერთი წლისაა და ოთხი თვის ინეზას კი... ეძინა.

ეძინა პატარა ინეზას და უთუოდ სიზმრად გხედავდა, მის აკვანთან მოცინარ, ღამისმთეველ დედას, დედას, რომელსაც ათი შვილის შობისა და აღზრდისათვის „გმირი დედის“ საპატიო წოდება მოგენიჭა.

დაილოცოს შენი კალთა, დედა! რაოდენ უსაზღვრო და დიადი ხარ შენ!

რევაზ ლორია

ამ ცოტა ხნის წინათ გარდაიცვალა დიდი ქართველი ეთნოგრაფი, პროფესორი ვერა ბარდაველიძე. მისი სიკვდილი მძიმე დანაკლისია ქართული საბჭოთა მეცნიერებისათვის.

1969 წლის 4 ოქტომბრიდან 31 ოქტომბრამდე ქართველი ხალხის ეთნოგრაფიის შესასწავლად საქართველოში იმყოფებოდა ფრანგი პროფესორი ქრისტიან პიგეტი დე-რივასო. ის ახლო გაეცნო ვერა ბარდაველიძეს და მის შრომებს, იმოგზაურა სვანეთში, ხევსა და ხევსურეთში, იმუშავა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და სახელმწიფო კონსერვატორიაში, ჰქონდა საინტერესო შეხვედრები ქართველ მეცნიერებთან და კულტურის მოღვაწეებთან და გამოთხოვებისას დაგვიტოვა პატარა ხელნაწერი, რომელსაც ქვემოთ ვაქვეყნებთ.

# სახსოვარი

ღრმა და გულწრფელი სინანულით ვტოვებ ქართულ მიწას. ასეთსავე სინანულს განვიცდი, რომ მონაწილეობა ვერ მივიღე ქალბატონ ბარდაველიძის პატივსაცემად გამართულ ზეიმში. მე ამ კვირის ბოლოს უცილობლად პარიზში უნდა ჩავიდე. მაგრამ ამავე დროს ზეიმზე დასწრება ძალიან მინდოდა, ძველი ჩინელი მწერლის სი-იეუკის წიგნის პერსონაჟს — მოგზაურ მაიმუნს მაგიური ძალა გააჩნდა: თმას შეიჭრიდა და ორად გაიყოფოდა. სამწუხაროდ, მე არ გამაჩნია ასეთი უნარი და სწორედ ამან გადამაწყვეტინა მეთხოვა ჩემი ქართველი მეგობრისათვის წაეკითხა ეს სადღეგრძელო ჩემი სახელით.

მე არ მინდა ბევრი რამ დავუმატო უკვე ნათქვამს თქვენს მიერ, რადგან ვიცი, რომ შესანიშნავი ღვინითა და კერძებით დატვირთული ქართული სუფრა გელოდებათ. გამოძახილი ჩემი ხოტბისა ქალბატონ ბარდაველიძისადმი მსურს რომ საფრანგეთში გაისმას. მაგრამ ვფიქრობ, რომ ერთი საღამო არ იქნება ამისათვის საკმარისი. მე მაინც მინდა მოკრძალებულად გამოვხატო ჩემი აღფრთოვანება მრავლისმომთმენი და ჭეშმარიტად ამაღორძინებელი შრომისადმი, რომელიც ქალბატონმა ბარდაველიძემ იტვირთა საქართველოს მთებში თუ საკუთარ შრომებზე გათენებულ ღამეებში. ეს ღვაწლი დაიწყო იმ დღიდან, როცა იგი, შემეცნების ქალური დემონის ძალით ატაცებული, შეუდგა ძველისძველი სამლოცველოების კარიბჭეების გადალახვას. მისმა ახალგაზრდულმა მგზნებარებამ გააოცა ყველა და მათ შორის მეც. მისი ცხოვრება ბრწყინვალე მაგალითია საკუთარი მრწამსის ძიებისა, რომლის სისხლხორცეული ნაწილია საქართველოს წარსული, ქართული წესი და ზნე.

ამასთანავე, ვისარგებლებ სიტყვის უფლებით და მადლობას გადავუხდი ყველას, ვინც მიმიღო საქართველოში თქვენთვის ჩვეული იშვიათი ზრდილობით, სტუმართმოყვარეობით და დიდსულოვნებით. ყოველივე ამის შესახებ მე მრავალჯერ მსმენოდა, მაგრამ შორიდან ვერასოდეს წარმოვიდგენდი ჭეშმარიტ არისტოკრატულობას, ამ სიტყვის ბრძნული მნიშვნელობით. ამ თვისებას ვხვდებით ყოველ ნაბიჯზე: მთიელთან თუ ქალაქელთან, მეცნიერთან თუ გლეხკაცთან. ვჭამდი თქვენს პურს, ვსვამდი თქვენს ღვინოს, სმენას მავაპყრობდი თქვენი მთების ქარს და ახლა ვიწყებ საქართველოს შეცნობას. ვიმედოვნებ, რომ ეს ჯერი პირველი პურობისა არ იქნება უკანასკნელი. შორეული საფრანგეთიდან ავწევ ფასს ქალბატონი ბარდაველიძის სადღეგრძელებლად, რათა უხვი იყოს ქართული მეცნიერება და მუდამ ცოცხლობდეს თქვენს მოდგმაში პირველღირსება კაცური გულისა, რაიც თავისთავადაა მეცნიერებათა მეცნიერება.

ქრისტიან პიგეტი დე-რივასო

30 ოქტომბერი, 1969 წელი,
ქ. თბილისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

50

# კვლავ მწყობრში

იგი ეკატერინე ირაკლის ასული ცინცაძე გახლავთ, პარტიის წევრი 1917 წლიდან. მან აქტიური არალეგალური მუშაობა ჯერ კიდევ 1910 წელს დაიწყო. მაშინ, მე-3 ჯგუფის მოწაფემ არც კი იცოდა, თუ რა დიდ საქმეს აკეთებდა რევოლუციისათვის. სოფელ ფარცხმაში ცხოვრობდა და სოფლისავე სკოლაში სწავლობდა. მშობლები არალეგალურად მომუშავე ბოლშევიკები იყვნენ. ისინი ხშირად ჩაუდებდნენ გოგონას წიგნებში საკმაოდ მოზრდილ კონვერტებს და ეტყოდნენ: „შვილო, დღეს დილით, გაკვეთილების დაწყებამდე ეს წერილი ამა და ამ ბიძიას უნდა გადასცე, ხვალ მუშები გვინდა დავიხმაროთო". და დაჰქონდა წერილები პატარა ეკას ხან თომა ანთიძესთან, ხან დომენტი გოგორიშვილთან და ხან სხვებთან.

რა იცოდა პატარა ეკამ, რომ მას დასაპატიჟებელი წერილები კი არა, ძალზე სერიოზული არალეგალური ლიტერატურა მიჰქონდა დედ-მამის მეგობრებთან, არალეგალურად მომუშავე რევოლუციონერებთან.

...ნასაკირალის ამბების შემდეგ გურიაში საშინელება დატრიალდა. კაზაკები და სტრაჟნიკები მოედვნენ სოფლებს, ჩხრეკდნენ და აპატიმრებდნენ ხალხს. რამდენჯერ შეხვედრიათ მათ გზაში ეკა, მაგრამ მდუმარედ აუვლიდნენ ხოლმე გვერდს. რა იცოდნენ, თუ ის, ვისაც დაეძებდნენ, სწორედ ეს პატარა გოგონა იყო!

ასე გადიოდა წლები, მერე მამა გარდაიცვალა. გაჭირვებას გაჭირვება დაემატა. ქვრივი დედა იძულებული შეიქნა ეკა სკოლიდან გამოეყვანა და ნაგომარში, კერძო მეაბრეშუმესთან დაეყენებინა მუშად. მაგრამ „დასაპატიჟებელი" წერილების ტარება კვლავ გრძელდებოდა. ხშირად საპასუხო წერილებიც მოჰქონდა ეკას დედასთან.

ეკა იზრდებოდა, ჭკუაში ვარდებოდა, თანდათან ერკვეოდა რევოლუციური მოვლენების არსში. მალე არალეგალური ორგანიზაციის წევრი გახდა. 1917 წლიდან კი მისი სახელი და გვარი გურიის ბოლშევიკური ორგანიზაციის წევრთა სიაში ირიცხებოდა.

დიდმა შრომამ სასურველი შედეგი მოიტანა: საქართველოში საბჭოთა ხელისუფლება დამყარდა. სხვა იატაკქვეშ მომუშავე ამხანაგებთან ერთად ეკაც სააშკარაოზე გამოვიდა და პარტიის სურვილისამებრ ხელისუფლების გამტკიცების საქმეს მოჰკიდა ხელი.

მას დაევალა ჩოხატაურის რაიონში ქოხსამკითხველოების ხელმძღვანელობა. პირველ ხანებში საქმე კარგად მიდიოდა, მაგრამ, როცა მუშაობა გაფართოვდა, ეკას ხელმძღვანელობა გაუჭირდა და სწავლის გაგრძელება გადაწყვიტა. 1922 წელს თბილისში ჩამოვიდა და მუშფაკში მოეწყო,



ამავე დროს საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტში დაიწყო მუშაობა. მუშფაკის დამთავრების შემდეგ იუსტიციის სახალხო კომისარიატში გაგზავნეს გამომძიებლად. მერე ეკამ საფერშლო სკოლა დაამთავრა და მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის საქმეს მოჰკიდა ხელი. როცა ყაზახეთში ყამირის ათვისება დაიწყო, ეკატერინემ ცენტრალურ კომიტეტს სთხოვა გაეგზავნათ ყამირზე იქ ჩასულ ახალგაზრდათა ჯანმრთელობის დასაცავად. თხოვნა დაკმაყოფილებულ იქნა. სამი წლის შემდეგ მთავრობის ჯილდოთი დაბრუნდა საქართველოში და აქ განაგრძო შრომა.

დღეს ეკატერინე ცინცაძე საკავშირო მნიშვნელობის პერსონალური პენსიონერია. უკვე 70 წელი შეუსრულდა, მაგრამ კვლავ მწყობრშია, კვლავ ხალხისათვის შრომობს: მიკრორაიონში არის სახლების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე, ქუჩის კომიტეტის თავმჯდომარე, სანიტარული კომისიის წევრი და მთელ სულსა და გულს ამ საქმიანობას ახმარს.

ე. კვინიკაძე

# ფცაში

ამ პატარა სოფელში აიდგეს ფეხი და უკვდავებას ეზიარნენ ქართველი საზოგადო მოღვაწე ქალები, მშვენიერებითა და ნიჭით ზეგარდმოცხებულნი ანასტასია ერისთავ-ხოშტარია და ტასო ბაგრატიონი-მაჩაბლისა.

ა. ერისთავ-ხოშტარიამ დიდი ლიტერატურული მემკვიდრეობა დატოვა. ცნობილია მისი რომანი „ბედის ტრიალი", მოთხრობები: „ბატონებმა არ დაიწუნეს", „დაუვიწყარი საღამო", „ლაზარემ გადააჭარბა", „ეშმაკის სამარე", „განგება ღვთისა აღსრულდეს" და სხვა, ხოლო მისმა რომანმა „მოლიპულ გზაზე", რომელიც 1897 წელს ცალკე წიგნად დაიბეჭდა, დიდი სახელი მოუხვეჭა მწერალს.

ტასო ბაგრატიონი-მაჩაბელი (მეუღლე ცნობილი ქართველი მწერლის ივანე მაჩაბლისა) დიდი გულშემატკივარი იყო თავისი ერის კულტურისა, თეატრისა, ჟურნალ-გაზეთებისა, იგი საკუთარი სახსრებით ეხმარებოდა გამომცემლობებს, რომ არ დახურულიყო; რამდენი რამ გააკეთა წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში, რამდენი ჭირი და წყლული მოუშუშა თავის ხალხს... განსაკუთრებით დიდი ღვაწლი მიუძღვის მას ივანე მაჩაბლის ნაშრომების გამოცემაში.

ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციამ და მწერალთა კავშირმა სოფელ ფცაში გამართეს ამ ორი სახელოვანი ქალის ხსოვნისადმი მიძღვნილი საღამო.

სტუმართა შორის იყვნენ ანასტასია ერისთავის ორი ქალიშვილი: თამარ ცაგურია და ელენე ხოშტარია, მათი შვილიშვილი არჩილ ხოშტარია, ტასო მაჩაბლის ქალიშვილი ელენე ჩერქეზიშვილი (რესპუბლიკის დამსახურებული ბიბლიოთეკარი), ელენეს ვაჟი მიხეილი, აკადემიკოსი ევგენი ხარაძე, მწერალი ნინო აბაშიძე, ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქციის მუშაკები, მწერლის მეგობრები და მახლობლები.

შეხვედრა გაიმართა ანასტასია ერისთავის სახელობის საშუალო სკოლის შენობაში. ხალხმრავალი შეკრება შესავალი სიტყვით გახსნა პარტიის ქარელის რაიკომის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგემ უ. მეყანწიშვილმა.

შეკრების მონაწილეებს სიტყვით მიმართა ჟურნალ „საქართველოს ქალის" რედაქტორმა მ. ბარათაშვილმა.

„ფცა ანასტასია ერისთავის შემოქმედებაში" — ამ თემაზე გააკეთა მოხსენება თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მასწავლებელმა ნინო ჟღენტმა.

„ტასო მაჩაბლის ცხოვრება და მოღვაწეობა" — ასეთი იყო ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის ნინო ჩიხლაძის მოხსენების თემა. მოგონებით გამოვიდა მწერალი ანა ღვინიაშვილი, მწერალი ქალებისადმი მიძღვნილი ლექსი წაიკითხა პოეტმა ნაზი კილასონიამ. სიტყვებით გამოვიდნენ მწერალი გ. ქავთარაძე, ფცის საშუალო სკოლის დირექტორი გ. ქოთოლაშვილი, მასწავლებელი ვ. წოწორია, მოსწავლე გ. ქოთოლაშვილი.

მათი მშობლების პატივსაცემად გამართული ღონისძიებისათვის შეკრებილთ მადლობა გადაუხადეს ელ. ჩერქეზიშვილმა და თ. ცაგურიამ, დასასრულს მოსწავლეებმა საკუთარი ძალებით გამართეს კონცერტი.

დოდო ზურაბიშვილი

ეროვნული ბიბლიოთეკა



მოზარდი თაობის აღზრდისათვის საუკეთესო პირობების შექმნის მიზნით გავუდიდოთ მატერიალური დახმარება ოჯახებს, რომლებსაც ჰყავთ ბავშვები, გავუფართოოთ შეღავათები მომუშავე ქალებს — დედებს; შემოვიღოთ დახმარებანი იმ ოჯახების ბავშვთათვის, რომელთა საშუალო შემოსავალი ყოველ წევრზე არ აღემატება 50 მანეთს თვეში; გავადიდოთ ავადმყოფი ბავშვის მოვლისათვის საჭირო ანაზღაურებული დღეების რაოდენობა; დავაწესოთ ყველა მომუშავე ქალისათვის ორსულობისა და მშობიარობის გამო შვებულების ანაზღაურება სრული ხელფასის ოდენობით, მიუხედავად შრომის სტაჟისა.

გავაფართოოთ საბავშვო დაწესებულებების ქსელი. ხუთწლეულში სახელმწიფოს ხარჯზე ავაშენოთ სკოლამდელ ბავშვთა დაწესებულებანი 2 მილიონზე მეტი ბავშვისათვის, გავადიდოთ გახანგრძლივებული დღის სკოლებსა და ჯგუფებში მოსწავლეთა რიცხვი 1,5 მილიონით.

სკკპ XXIV ყრილობის
დირექტივებიდან

საყოფაცხოვრებო მომსახურების
კომბინატი „პირიმზე“

# „პირიმზე“

რედაქტორი
მარიკა
ბარათაშვილი

სარედ. კოლეგია: ნ. გურგენიძე, მ. კალანდაძე (პ. მგ. მდივანი), ზ. კვაჭაძე,
თ. ლაშქარაშვილი, ვ. სირაძე, ქ. სიხარულიძე, ნ. შალუტაშვილი,
ლ. შენგელია (მხატ. რედაქტორი), თ. წერეთელი, ნ. ჯავახიშვილი.

ტექრედაქტორი ქ. დემუროვა.

საქ. კპ ცენტრალური
კომიტეტის
გამომცემლობა

რედაქციის მისამართი — ლენინის ქ. №14. ტელეფონის №,№: რედაქტორის — 99-98-71, პასუხისმგებელი მდივნის— 93-98-56, განყოფილებების — 99-50-39, მხატვრული რედაქტორის — 93-98-57, საქმეთამმართველის—93-98-54. გადაეცა ასაწყობად 16/III-71 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 23/IV-71 წ. ქაღალდის ზომა $60 \times 90^1/_8$, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 3, სააღრიცხვო საგამომცემლო თაბახი 5,3.

ტირაჟი 123.260. შეკვ. № 932. ფასი 30 კაპ.

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14.

ეროვნული ბიბლიოთეკა



**არსებითად გავაუმჯობესოთ მოსახლეობის საყოფაცხოვრებო მომსახურება.** უზრუნველვყოთ ყველა სახეობის მომსახურებაზე მშრომელთა მოთხოვნილების უფრო სრული დაკმაყოფილება, ავამაღლოთ მოსახლეობის მომსახურების კულტურა და ხარისხი, შევამციროთ შეკვეთების შესრულების ვადები. განვავითაროთ საყოფაცხოვრებო მომსახურება როგორც მსხვილი მექანიზებული დარგი იმ საფუძველზე, რომ გავაფართოოთ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოთა ქსელი და აღვჭურვოთ ისინი თანამედროვე მანქანებით, მექანიზმებითა და მოწყობილობით, დავნერგოთ მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, ავამაღლოთ საწარმოო სიმძლავრეთა გამოყენების ეფექტიანობა. უკეთ მოვაწყოთ საყოფაცხოვრებო ტექნიკის რემონტი. ხუთწლეულში საყოფაცხოვრებო მომსახურების მოცულობა მთლიანად ჩვენს ქვეყანაში გავადიდოთ სულ ცოტა ერთიორად, ხოლო სოფლად — **2,8-ჯერ.**

სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებიდან

მხატვარი-მოდელიორი
ჯ. გეწაძე



საპარიკმახერო საამქროს უფროსი
რუსუდან კასრაძე ქალთა სალონში



ომის ვარცხნილობის ხელოსანი, მრავალ
კონკურსში გამარჯვებული ვალენტინა ჩუდაკოვა.

Р. С. Ф. С. Р.

Секретарь Члена Революционного Военного Совета

Кавказского Фронта

Д. Красная Армия

Баку Ленину Сталину

25/II 21 г.

Над Тифлисом реет

красное знамя советской

власти.

Да здравствует Советская

Грузия!

Орджоникидзе

ИНДЕКС 76178